# ხვალ საქართველო ახალ პრეზიდენტს ირჩევს!


# საქართველოს რესპუბლიკა




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.





დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 26 ოქტომბერი, 2013 წელი.

№206 (7333)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## ორხელისუფლებიანობა თუ შეთქმულება ხალხის წინააღმდეგ?! ③



## „კვაშნინმა მკითხა, ამ ახალგაზრდებს რა უნდათო“ ⑤

## მოყვრები და მტრები ④



## ბუკმეკერები მარგველაშვილის გამარჯვებაში დარწმუნებული არიან ⑧



## პრეზიდენტო, შენ ჩემს სიკვდილშიც მიგიძღვის ბრალი!.. ⑨

## თამაზ შილაკაძე: გზა — თიანეთი-ჟინვალის მიმართულებით ⑥



**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

# ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ შერეული მმართველობის მოდელზე გადავდივართ

**საქართველოს ახალი პრეზიდენტის ფიცის დადების მომენტიდან მთავრობა უფლებამოსილებას მოიხსნის. მთავრობა ამჯერად უფლებამოსილებას არა პრეზიდენტის, არამედ პარლამენტის წინაშე იხსნის , ხოლო ნდობის გამოცხადება ახალი კონსტიტუციით დადგენილი წესებით მოხდება.**

ამ ყველაფერს 2010 წლის ოქტომბერში მიღებული კონსტიტუციური ნორმების ამოქმედება იწვევს. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი ფიცს დადებს, ძალაში შედის ახალი ფორმის მმართველობის კონსტიტუციური მოდელი და ქვეყანა შერეული მმართველობის მოდელზე გადადის. ამოქმედდება შერეული მმართველობის ფორმა, რომელსაც ნახევრად საპრეზიდენტო და ნახევრად საპარლამენტო მოდელსაც უწოდებენ.

ახალი პრეზიდენტის მიერ პოსტის დაკავებას მთავრობის ხელახალი ფორმირება მოჰყვება, რა დროსაც პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს წარადგენს არა პრეზიდენტი, არამედ პარლამენტში საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტი. პრეზიდენტი ვალდებული იქნება, პრემიერ-მინისტრის პოსტზე სწორედ საპარლამენტო უმრავლესობის მიერ დასახელებული კანდიდატი დანიშნოს. კერძოდ კი, პრეზიდენტი მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან შვიდი დღის ვადაში, საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტის მიერ (ასეთი კი კოალიცია „ქართული ოცნება“) მისთვის წარდგენილ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას წამოაყენებს. თავის მხრივ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი შვიდი დღის ვადაში შეარჩევს მინისტრთა კანდიდატურებს და ნდობის მისაღებად, სამთავრობო პროგრამასთან ერთად, პარლამენტს წარუდგენს. პარლამენტიც შვიდი დღის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს.

ახალი კონსტიტუციით იზრდება მთავრობის უფლებამოსილებები და თავად მთავრობის ხელმძღვანელის ძალაუფლება. ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განმახორციელებელი მთავრობა ხდება, რომელიც მხოლოდ პარლამენტის წინაშე იქნება ანგარიშვალდებული.

მთავრობის საქმიანობას მთლიანად პრემიერ-მინისტრი განსაზღვრავს, რომელიც ორგანიზებას გაუწევს მას და განახორციელებს მთავრობის წევრთა საქმიანობის კოორდინაციას და კონტროლს.

პრემიერ-მინისტრს თანამდებობაზე მთავრობის წევრების მოხსნა-დანიშვნისთვის პრეზიდენტის თანხმობა აღარ დასჭირდება და შესაბამის გადაწყვეტილებებს, პრეზიდენტის გარეშე მიიღებს.

# საშინაო და საგარეო პოლიტიკას ვეღარ წარმართავს

**კონსტიტუციურად პრეზიდენტი რჩება როგორც სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი და წარმოადგენს ქვეყანას საგარეო ურთიერთობებში.**

**ახალი საკონსტიტუციო ნორმებით, რომელიც ახალი პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან შედის ძალაში, პრეზიდენტის უფლებამოსილებები როგორც პარლამენტთან, ისე მთავრობასთან მიმართებაში, მნიშვნელოვნად მცირდება.**

პრეზიდენტს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მოლაპარაკებებისთვის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დასადებად მთავრობასთან შეთანხმება დასჭირდება. ის ასევე მთავრობის წარდგინებით დანიშნავს და გაათავისუფლებს ელჩებს, სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს და მთავრობასთან შეთანხმებით მიიღებს სხვა სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ელჩების და დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას.

ახალი კონსტიტუციის მნიშვნელოვანი სიახლეა ისიც, რომ პრეზიდენტის მიერ გამოცემული სამართლებრივ აქტებს, გარდა საომარი მდგომარეობის დროს გამოცემული აქტებისა, პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაცია დასჭირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტის მიერ გამოცემულ ნორმატიულ აქტს პრემიერ-მინისტრმაც უნდა მოაწეროს ხელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ძალაში ვერ შევა.

პრეზიდენტის უფლება — დაითხოვოს პარლამენტი, ახალი კონსტიტუციით, ძალიან შეზღუდულია და ეს იმ ერთადერთ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თუკი პარლამენტში უმრავლესობა ვერ ყალიბდება.

პრეზიდენტს აღარ ექნება პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივით შესვლისა და კანონპროექტის რიგგარეშედ განხილვის მოთხოვნის უფლება. რბილდება პარლამენტის მიერ პრეზიდენტის ვეტოს დაძლევის მექანიზმიც.

გარდა ამისა, მას აღარ ექნება პარტიული თანამდებობის დაკავების უფლება, აღარ შეეძლება დამოუკიდებლად — მხოლოდ საკუთარი ინიციატივით რეფერენდუმის დანიშვა, ასევე მთავრობის მოწვევა და გადაყენება.

პრეზიდენტი აღარ გაუწევს კურირებას ძალოვან მინისტრებს და ვერ შესძლებს მთავრობის აქტის გაუქმებასაც.

**ინტერპრესი**

⊙ კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

● იმ არჩევნებს რა ვუთხარი, ერთ-ორ შტაბის წევრს, ან ჯანდაბას, აქტივისტს თავს რომ არ გაუტეხავენ, არასამთავრობოები რომ არ შეშფოთდებიან, ერთი-ორი მიტინგი რომ არ იქნება სავარაუდო გაყალბებებზე დ.ა.შ.

რაღაც ვერ გცნობთ ხალხო, გამოფხიზლდით, ყოველდღე კი არ ვირჩევთ პრეზიდენტს!

თუ უკვე შვეიცარია ვართ და მე არ ვიცი?

● ისეთი განცხადებები გააკეთა, თუ ვინმეს სამშობლო უყვარს და გული შესტკივა საკუთარი შვილების მომავალზე, ყველანი უნდა გამოვიდნენ 27-ში, ისინიც, ვინც ფიქრობდა „ისედაც ყველაფერი გადაწყვეტილიაო“. ამ შიზოფრენიკის საერთოდ ნატამალი არ უნდა დარჩეს, როგორც სახადი, ისე უნდა დავივიწყოთ, ეს უბედურება საქართველოში აღარ უნდა განმეორდეს.

● გიორგი მარგველაშვილს რამიშვილების და ყანდიაშვილებისნაირების „გრუზი“ არ ჰქონდეს, ლიწინლიწინით გაიმარჯვებდა! სათხოვარ-სახვეწარი და საეჭვო არ გაუხდებოდა ის, რომ არჩევნებზე მივსულიყავით. შედეგები ძალიან მძიმე იქნებოდა, რომ არა პატრიარქის თხოვნა. მე კიდევ ერთხელ ვამბობ — 50% არ მივიდოდა არჩევნებზე! და ახლაც საეჭვოა კიდევ ელექტორატის აქტივობა! არ დაიწყოთ, რომ ამბობენ, იგივე ელექტორატი პროპორციულად ბურჯანაძის ან ბაქრაძისააო. სახლში დარჩენილი ელექტორატის 50% მარგველაშვილის უნდა ყოფილიყო, 30% — გამსახურდიას (ვინც პრინციპულად არ მონაწილეობს არჩევნებში). დანარჩენ 20%-ს ფეხზე რომ ჰკიდია აქ რა მოხდება, აი ისაა. სხვათა ამომრჩეველი ბოლო კაცამდე მივა არჩევნებზე!




● ბაქრაძე, ახლა წინასაარჩევნოდ რო პირდები ხალხს ბიზნესის ამნისტირებას და საგადასახადო განაკვეთების დაწევას, 9 წელი ვინ გიშლიდა ხელს? ან ამნისტირებაში რას გულისხმობ — ახლანდელი დავალიანებების გაბათილებას თუ თქვენი მმართველობის წლებში უკანონოდ ახეული მაყუთების უკან დაბრუნებას?

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძე**

⊙ სიახლე

# ხალხი სოფლად ბრუნდება

**„ნაციონალური ხელისუფლების“ გამიზნულმა ანტიხალხურმა, ანტისახელმწიფოებრივმა პოლიტიკამ, რაც ქართული სოფლის განადგურებას ისახავდა მიზნად, შედეგი გამოიღო. ხალხმა მასობრივად დაიწყო ძველი საკარმიდამო ნაკვეთების მიტოვება და მსხვილ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში გადასახლდა. ნაცებიც ამას ელოდნენ. დაიწყო სოფლების კუთვნილი სათიბების, საძოვრებისა და ა. შ. უცხოტომელებზე მასობრივი, უმეტეს შემთხვევაში ფარული გაყიდვა. ქართული სოფელი განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.**

### არჩევნების შემდეგ

ვარდოსნებმა ბევრს უკიჟინებდნენ ახალ ხელისუფლებას, რომ მათ ვერ შეძლეს პრიორიტეტად მიჩნეული სასოფლო-სამეურნეო სექტორის გამართვა. მათ უპასუხებდნენ, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო. და წელიწადის ეს დროც დადგა. ცვლილებებმა, კერძოდ კი დარიგებულმა ვაუჩერებმა, შეღავათებმა, აგროსესხებმა და ღვთის წყალობით მოსულმა უხვმა მოსავალმა წელში გამართა გლეხი, სოფელი. ამას დაერთო რეალიზაციის გაუმჯობესებაში სახელმწიფო დახმარებაც.

კახეთის რვავე რაიონში რთველმა წარმატებით ჩაიარა. თუ წინა ხელისუფლების პირობებში გლეხს ერთ კილოგრამ ყურძენში 40 თეთრს აძლევდნენ (რის გამოც ბევრმა მათგანმა ვენახების გაჩეხვას, საზამთროსა და ბაღჩეულის დათესვას მიჰყო ხელი), ამჯერად მათ სამჯერ მეტ ფასს უხდიდნენ.

ხელისუფლება ფერმერებს სტიქიასთან ბრძოლაშიც ეხმარება. სოფლის მეურნეობისა და თავდაცვის სამინისტროების ერთობლივი პროექტით 2014 წლიდან კახეთში დამონტაჟდება სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარები.

სამეგრელოში ბოლო რამდენიმე თვეა ამუშავდა თხილის მიმღები და გადამმუშავებელი ქარხნები და პუნქტები. აქვე აღორძინებას იწყებს დაფნის წარმოება. როგორც სპეციალისტები აცხადებენ, თუ ამ კულტურებს წინათ გასავალი მხოლოდ თურქეთსა და ბელორუსში ჰქონდა, ამჯერად მათ რუსული ბაზარიც დაემატა, თუმცა, საქმეში ჩახედული ხალხი აცხადებს, ყველაფერი რუსული ბაზრის გახსნით არ შემოიფარგლება. ხელისუფლება აქტიურად ეძებს გასაღების ახალ ბაზრებს.



სოფლისადმი ყურადღება, მხოლოდ მეურნეობისადმი დამოკიდებულებაში არ გამოიხატება. „ვარდ-ეკლიანების“ განათლების რეფორმის შედეგად ყურით მოთრეული „ოპტიმატიზაციის“ მოტივით დაიხურა უამრავი სოფლის სკოლა. ბავშვებს ზოგჯერ 7-8 კილომეტრის გავლა უწევდათ მეზობელი სოფლის სკოლამდე. შეიძლება ტყის გავლაც დასჭირვებოდათ. განსაკუთრებით უჭირდათ დაბალი კლასების მოსწავლეთა მშობლებს. წინა ხელისუფლების დაპირებულმა სასკოლო ავტობუსებმა (ისევე როგორც ტრაქტორებმა და სხვა ტექნიკამ) მხოლოდ რამოდენიმე თვე იმუშავა. ამის გამო მშობლები ხშირად ვერ ახერხებდნენ ბავშვების სკოლაში მიყვანას. ვერც პედაგოგები სთხოვდნენ პასუხს.

ბევრ სოფელში უკვე აღდგენილია დაწყებითი სკოლები.

იგივე პრობლემები იყო ჯანდაცვის სისტემაში. რაიონული ცენტრიდან გამოძახებული სასწრაფო, ზოგჯერ 1-1,5 საათის დაგვიანებით მისულა დანიშნულების ადგილამდე (აქედან გამომდინარე, იყო უბედური შემთხვევებიც). დაგვიანებებს არც თუ იშვიათად დანგრეული გზებიც განაპირობებდა.

ჯანდაცვის რეფორმის მიუხედავად, ყველა სოფელს ექნება სამედცინო ამბულატორია, პუნქტი (ბევრგან უკვე გაიხსნა). აქტიურად მიმდინარეობს სოფლების მისადგომი გზების შეკეთება. გაჰყავთ გაზი, წყალი.

ბევრი სოფელი ისტორიული მნიშვნელობისაა, ზოგიც უცხოელი ტურისტების ყურადღებას თავისი ადგილმდებარეობით იპყრობს. ტურისტთა მომრავლების გამო, ხელისუფლებამ უკვე დააპროექტა 53 სასტუმროს ტიპის კოტეჯის მშენებლობა (10, 20, 30-ადგილიანი). ეს კიდევ უფრო გაზრდის ადგილობრივების შემოსავალს.

სოფლისადმი ხელისუფლების ამგვარმა ყურადღებამ, მაღალმა შემოსავლებმა, სოფლის მეურნეობის განვითარების მილიარდლარიანმა საინვესტიციო ფონდმა, სწრაფად განვითარებადმა ინფრასტრუქტურამ, ბევრს მსხვილ ქალაქებში დროებით გადახვეწილ, ერთჯერად სამუშაოებზე დაკავებულთ მიტოვებულ მამაპაპისეულ სახლკარში დაბრუნების სურვილი გაუჩინა. სპეციალისტთა განმარტებით, ბევრ სოფელში, სადაც პრობლემები ასე თუ ისე მოგვარდა, ან გვარდება, ათეულობით ოჯახი დაუბრუნდა მშობლიურ კერას. ბევრად მეტი ჯერ კიდევ მოლოდინშია.

თუ ხელისუფლებამ ამ ტემპებით გააგრძელა სოფლის მეურნეობისა და ზოგადად სოფლის აღორძინება ქვეყნის მასშტაბით, სულ მალე ქართული სოფელი მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც აღიდგენს თავის სახეს.

სოფლის შევსებას ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერების გარდა, ერთი სერიოზული დადებითი მნიშვნელობაც ენიჭება. პირველ რიგში განიტვირთებიან დედაქალაქი და მსხვილი ქალაქები. და გაუმჯობესდება კრიმინოგენური ვითარება.

როგორც სპეციალისტები, ექსპერტები, კრიმინალისტები გვიხსნიან, წინა ხელისუფლების მიერ მიღებულმა პიარ-გადაწყვეტილებამ ჩაწერის ინსტიტუტის გაუქმების თაობაზე, დიდი სირთულეები შეუქმნა სამართალდამცავებს. კერძოდ, სამუშაოს საძებნელად წამოსულთ თან მოჰყვებიან კრიმინალური წარსულის ან მისდამი მიდრეკილების მქონენი. ისინი ბინავდებიან კეთილმოუწყობელ სახლებში. მეპატრონეები საგადასახადო თანხის შეტანისაგან თავის არიდების მიზნით ოფიციალურად არ არეგისტრირებენ მდგმურს. ამ დროს ხდება რაიმე სახის დანაშაული. იციან, რომ ეს პიროვნება ამა და ამ ბინაში ცხოვრობდა. აკითხავენ მეპატრონეს. იგი უსახელებს მასთან დროებით მცხოვრების ვინაობას. მაგრამ ეს ტყუილი გამოდის, რადგან დამქირავებელს თავიდანვე ჰყავს შეცდომაში შეყვანილი გამქირავებელი. ასე რჩება საქმე გაუხსნელი, დამნაშავე დაუსჯელი. — განმარტავენ სპეციალისტები.

მათივე გადმოცემით, არის ფაქტები, როდესაც დიდ ქალაქში სამუშაოდ ჩასული რაიმე უბედური შემთხვევის გამო გარდაიცვალა. მაგრამ მან თან არავითარი პირადობის დამამტკიცებელი დოკუმენტი არ აქვს. ვერ დგინდება მისი პიროვნება, მომხდარის შესახებ ვერ აგებინებენ ახლობლებს.

ყველა სიკეთესთან ერთად სოფლის აღორძინება, იქ ძირძველი მოსახლეობის დაბრუნება, დიდი ქალაქების განტვირთვა გარკვეულ (არა გადამწყვეტ) როლს შეასრულებს კრიმინოგენური ვითარების გაუმჯობესებაზეც — მიაჩნიათ სპეციალისტებს, ექსპერტებსა და კრიმინალისტებს.

**ზაზა ბილიხოძე**

# ორხელისუფლებიანობა თუ შეთქმულება ხალხის წინააღმდეგ?!



**ყოვლისმიმტევებლობისა და დაუსჯელობის პოლიტიკა, რასაც „ოცნების“ ხელისუფლება ეწევა ოპოზიციად წოდებული „ნაცმოძრაობის“ ლიდერთა მიმართ, რომლებიც მხილებული არიან ადამიანების მკვლელობებსა და წამება-გაუპატიურებაში და საბოტაჟებს აწყობენ დღესაც, ეწინააღმდეგება ხალხის ინტერესებს, რამდენადაც იგია მათი დანაშაულების მსხვერპლი. სახელმწიფოში წესრიგის დამყარება ხელისუფლების მოვალეობაა და გაუგებარია დამნაშავეთა და მესაბოტაჟეთა მიმართ ასეთი შემწყნარებლობა. ამ უცნაური ვითარების არსში გამოცდილი პოლიტოლოგ-ექსპერტებიც ვერ გარკვეულან და ზოგი „ორხელისუფლებიანობას“ არქმევს მას, ზოგი „უხელისუფლებობას“. მაგრამ საკითხავია, ეს ვითარება ხელისუფლების უნიათობის შედეგია, ოპოზიციის „სიყოჩაღისა“ თუ ორივეს შეთქმულებისა ხალხის წინააღმდეგ?**

ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტი სოსო ცისკარიშვილი, მაგალითად, ხელისუფლების უმოქმედობის მიზეზს „ნაცმოძრაობის“ სიძლიერეში ხედავს და მათ ურთიერთობას „ორხელისუფლებიანობად“ წარმოგვიდგენს: **„ჩემი აზრით, განვლილი წლის ყველაზე მკაფიო მახასიათებელი ქვეყანაში ორხელისუფლებიანობა გახლავთ. შესაძლოა, ზოგს არ მოსწონს ეს ტერმინი და საკუთარი თავი ერთმნიშვნელოვნად მთავარ მმართველად მიაჩნია. არაერთ საზღვარგარეთელ დიპლომატთან მაქვს გადამოწმებული და შემიძლია, დაბეჯითებით ვამტკიცო - არ არსებობს დედამიწაზე ისეთი ოპოზიცია, რომელიც ქვეყანაში იმდენ ბერკეტს ფლობს, რამდენსაც - „ნაცმოძრაობა“. ახალი ხელისუფლება მთელი განვლილი წელი ძირითადად შეტევათა მოგერიებაში, საბოტაჟების გადალახვაში, ცილისწამების უარყოფაში იყო და ამდენად თავისი პოტენციალი სრულად ვერ გამოამჟღავნა“.**

ოპოზიცია რომ საბოტაჟებს არ აკლებს, ეს ფაქტია. მაგრამ რატომ ითხოვს ხელისუფალი ივანიშვილი ოპოზიციას, რომელიც მას საბოტაჟებს უწყობს და ბოლომდე დემოკრატიული განვითარების საშუალებას არ აძლევს, თანახელისუფლად?! გამოეცხადებინა 2013 წლის 5 იანვარს პრეზიდენტად წოდებული ვადაგასულად და – აღარც ორხელისუფლებიანობა იქნებოდა, აღარც საბოტაჟები! პრემიერ-მინისტრმა კი, რომლის ხელშია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებათა ბერკეტები, ნაცვლად იმისა, რომ საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ, ვადაგასულად გამოეცხადებინა სააკაშვილი და პროკურატურისთვის გადაეცა იგი, ათი თვით გაუხანგრძლივა „პრეზიდენტობა“, დაუტოვა სასახლე, 1800-კაციანი დაცვა, თვითმფრინავი, შვეულმფრენი, „პრეზიდენტის ფონდი“ და ძველებურად აფლანგვინა მილიონობით ხალხის ფული საზღვარგარეთ უმიზნო (თუ ძირგამოთხრელი საქმიანობისათვის გამიზნულ) ფრენებში!

ხელისუფლება რომ ხელისუფლობდეს – ქმედითად იყენებდეს მისდამი რწმუნებულ ძალოვან სტრუქტურებს ნებისმიერი საბოტაჟის აღსაკვეთად,- ვერც „ნაცმოძრაობა“ დაეუფლებოდა სახელისუფლო ბერკეტებს და ვერც „ოპოზიციონერი პრეზიდენტი“ გაებლანდებოდა ფეხებში „ბოლომდე დემოკრატიულ განვითარებას“. ძალოვან სტრუქტურებს მოკლებული ნაცმოძრაობის „ხელისუფლებობა“ ისეთივე ფარსია, როგორც სააკაშვილის „პრეზიდენტობა“. ფაქტობრივად, ერთსაც ივანიშვილი „ახელისუფლებს“ და მეორესაც ივანიშვილი „აპრეზიდენტებს“. ის ხელისუფალი კი, რომელიც ოპოზიციის საბოტაჟებს ითმენს და კოჰაბიტაციობს მასთან, მისი საბოტაჟების თანამონაწილე და კოლაბორატორია. ამიტომ ამ კოლაბოტორიას ხალხის წინააღმდეგ შეთქმულების საერთო ლაბორატორია უნდა ეწოდოს და არა ორხელისუფლებიანობა.

მეორე უკიდურესობაში ჩავარდნილა ბიძინა ივანიშვილის ყოფილი მრჩეველი და „რჩეულის“ მიერ დატუქსული ექსპერტი ვაჟა ბერიძე, რომელსაც ხელისუფლების წინასწარგანზრახული უმოქმედობა „უხელისუფლებობად“ და „ვერტიკალური სისტემის დარღვევად“ ეჩვენება: **„პირადად მე ვფიქრობ, რომ დღეს საქართველოში უხელისუფლებობაა. დარღვეულია მართვის ვერტიკალური სისტემა, არ ხდება ადმინისტრირება და რატომღა გვიკვირს, რომ შემოსავლების სამსახურს მუსლიმანური სოფლიდან ექსპერტიზაზე მინარეთი ისე მიაქვს, თითქოს მანქანა იყოს ან კარადა.**

სინამდვილეში, ვერტიკალური სისტემაც სახეზეა და ადმინისტრირებაც, ოღონდ ისინი მიმართულია არა სადისტურ დანაშაულებში მხილებული „ნაცმოძრაობისა“ და მისი პრეზიდენტის („ოპოზიციონერი პრეზიდენტის“ წინააღმდეგ, რომლებიც ანტიკონსტიტუციურ და ძირგამომთხრელ საქმიანობას განაგრძობენ, არამედ საკუთარი სახელისუფლებო სტრუქტურების წინააღმდეგ, რომელთა მოვალეობაა, დაიცვან კანონი და წესრიგი, რასაც ისინი ვერ ასრულებენ, რადგან ვერტიკალური სისტემის სათავეში მდგომი ბიძინა ივანიშვილი საშუალებასაც არ აძლევს მათ, იფუნქციონ და იხელისუფლონ. პრემიერ-მინისტრი, რომელიც, წესით, პარლამენტს უნდა აბარებდეს ანგარიშს, იქით ერევა უცერემონიოდ მის საქმიანობაში და ხელს უშლის მის ნორმალურ მუშაობას: შუა სხდომის დროს ტელეფონით ურეკავს პარლამენტის თავმჯდომარეს და კარნახობს, როგორ უყაროს საკითხს კენჭი; პარლამენტი იღებს გადაწყვეტილებას, იმპიჩმენტი მოუწყოს უზენაესი სასამართლოს კორუმპირებულ თავმჯდომარეს და - მეორე დღეს პრემიერ-მინისტრი დემონსტრაციულად ხვდება მონა-მოსამართლეთა ამ უსტაბაშს და „კარგ რეფორმატორად“ აცხადებს მას, რითაც ძირს უთხრის სასამართლო რეფორმას; ასევე ექცევა იგი მთავარ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს: არჩილ კბილაშვილს აჩერებინებს ზურაბ ჟვანიას, გირგვლიანის, ვაზაგაშვილის, რობაქიძისა და სხვათა მკვლელობების გამზადებულ საქმეებს, რომელთა კვალი სააკაშვილთან და სხვა მაღალჩინოსნებთან მიდის და, საზოგადოებისათვის თვალში ნაცრის შესაყრელად, ახალაიასა და მერაბიშვილს „აპატიმრებინებს“, რომელთა საქმეები მოუმზადებელია; ირაკლი ღარიბაშვილს არ ანებებს სააკაშვილისა და მისი მაღალჩინოსნების მიერ დანაშაულებრივად ჩაწერილი ვიდეოკადრების საზოგადოებისათვის ჩვენებას და ანადგურებინებს მათ. რა შეიძლება ეწოდოს ყოველივე ამას, თუ არა საკუთარი სახელისუფლებო სტრუქტურების დასაჭურისება?!

**უხელისუფლებობა ანარქიას ნიშნავს. ის კი, რაც დღეს საქართველოში ხდება, ანარქია არ არის. ანარქია იქნებოდა, საერთოდ რომ არავინ ისჯებოდეს, მაგრამ ნემსის ქურდები ისჯებიან, მადლობა ბიძინა ივანიშვილს,** რომ უსამართლოდ აღარ ისჯებიან, მაგრამ უსამართლობაა ისიც, როცა აქლემის ქურდები არ ისჯებიან, სახელდობრ, „ყველანი ციხეში“-ს გამკივანი სააკაშვილი, ჩუმჩუმელა ადეიშვილი („წყნარ ჭაობში ეშმაკები ბუდობენო“) და მათი მსგავსი სადისტი დედიკოს შვილები, რომელთაც ბატონი ბიძინა „ნიჭიერებად“ და ხელშეუხებლებად აცხადებს და „კოჰაბიტაციის“ ქოლგას აფარებს: „ჩადენილ მკვლელობებზე, აბსოლუტურად არ მაქვს იმის სურვილი, რომ ჩემი პრეზიდენტი ციხეში მოხვდეს...“ ამ შეუსაბამობას თვითონვე ხვდება და სიტყვით ამატებს: „მაგრამ საზოგადოებას საშუალება ექნება დარწმუნდეს, რომ ვინც დააშავა, ყველას მოეთხოვება პასუხი, დანარჩენი გამოძიების საქმეა“. საქმით კი მთავარ გამომძიებელს უკვე გამოძიებულ „ჟვანიას საქმეს“ თაროზე ადებინებს და უფროსად „მოადგილეს“ უნიშნავს! საინტერესოა, რას ფიქრობს ამაზე საზოგადოება?

მედიაკავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელი ირმა ინაშვილი და „საქართველოს პატრიოტული ალიანსი“, მაგალითად, მხარს უჭერენ პრემიერ-მინისტრს: მიტინგს აწყობენ არჩილ კბილაშვილის თანამდებობიდან გადაყენების მოთხოვნით! ქალბატონ ირმასა და ბატონებს სოსო მანჯავიძესა და დავით თარხან მოურავს (ამ უკანასკნელს, უბრალოდ, გარეგნობით არ მოსწონს გიორგი მარგველაშვილი, ქართული წარმოსადეგობა არა აქვსო) ვერ გაამტყუნებ: კბილაშვილმა ისიც კი გაბედა, რომ ხმამაღლა განაცხადა სააკაშვილის დილეგში პატიმრებისათვის ორგანოების ამოჭრის ფაქტების არსებობის შესახებ!

ეს „ფაქტები“ ისე მნიშვნელოვნად მოეჩვენა პუბლიცისტ ვასილ მაღლაფერიძეს, რომ, „მაესტროს“ წამყვანებთან დიანა ტრაპაიძესა და თეონა გეგელიასთან საუბარში, შენიშნა: ჟურნალისტებმა ახლა ყველა თემაზე საუბარს თავი უნდა დაანებოთ და ამ საკითხზე გაამახვილოთ ყურადღებაო. ჟურნალისტმა გოგონებმა, უკაცრავად, ქალბატონებმა, პუბლიცისტის ნათქვამი ყურებიდან ყურებში გაატარეს და სიტყვა ბანზე აუგდეს.

ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე ესარჩლება ჟურნალისტ ქალბატონებს და ნაკლებად ეთანხმება პრემიერს: „იყო რამდენიმე თემა, რაზეც მე პრემიერს ნაკლებად ვეთანხმები, პირველ რიგში ეს არის მისი შეფასება ტელეკომპანია „მაესტროს“ ჟურნალისტების მიმართ“. სამაგიეროდ, მეტად ეთანხმება მას „პრეზიდენტის“ ხელშეუხებლობის საკითხში: „უბრალოდ არც ერთი ქვეყნისთვის არ არის სასურველი, ჰყავდეს ისეთი პრეზიდენტი, რომელიც თავის მოღვაწეობას ციხეში დაასრულებს. ეს ზოგადად ქვეყნის სირცხვილია და არა რომელიმე კონკრეტული პიროვნების, რადგან საზოგადოებამ მოიწვია ქვეყნის სათავეში ისეთი პირი, რომელსაც სისხლის სამართლის პასუხისგება უწევს. ასე რომ, მე ვეთანხმები ივანიშვილს - ძალიან მძიმე სანახავია, შენი ქვეყნის პრეზიდენტი ციხეში იჯდეს. მეორეს მხრივ, გასათვალისწინებელია საერთაშორისო ტენდენცია... საერთაშორისო რეალობის გათვალისწინება აუცილებელია. თუმცა, სხვა საკითხია, რამდენად პასუხობს საერთაშორისო განწყობა ქართული საზოგადოების განწყობას“.

ქალბატონი რომ ქალბატონებს გამოესარჩლოს, ეს, სხვა თუ არაფერი, გენდერული სოლიდარობის საკითხია. მაგრამ **საიდან მოიტანა ქალბატონმა ექსპერტმა, თითქოს სააკაშვილი საზოგადოებას მოეწვიოს ქვეყნის სათავეში?! თუ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები გაყალბდა, როგორც ამას პრეზიდენტის მოვალეობის ყოფილი შემსრულებელიც აღიარებს, მაშინ საქმე გვაქვს უზურპატორთან და არა პრეზიდენტთან. ხოლო თუ იმ ავაზაკობასაც გავითვალისწინებთ, რასაც ეს უზურპატორი ეწეოდა - ადამიანების წამება-გაუპატიურებას, ქონების წაგლეჯვას, მილიარდობით ბიუჯეტის ფულის გაფლანგვა-მიტაცებას და ა.შ. – მაშინ მისთვის უბრალო უზურპატორის წოდებაც ცოტაა, ავაზაკი უზურპატორი უნდა ვუწოდოთ.** უზურპატორიც არის და უზურპატორიც: გააჩნია, ვინ რისთვის იყენებს უზურპაციას. რაც შეეხება იმას, რომ ავაზაკმა უზურპატორმა თავისი „მოღვაწეობა“ ციხეში დაასრულოს, ეს ქვეყნის სირცხვილი კი არ არის, არამედ, პირიქით, ქვეყნის ღირსების საქმე. სირცხვილი ის არის, როცა საერთაშორისო სტრუქტურების მიერ შენი ქვეყნის სათავეში დასმულ ავაზაკს ვირის აბანოში არ მიაბრძანებ, მის ავაზაკობას „მოღვაწეობას“ დაარქმევ, ქართული საზოგადოების ინტერესებს უგულებელყოფ და საერთაშორისო სტრუქტურების (და არა ხალხების)ინტერესებს დაექვემდებარები!

ჟურნალისტებისა და ექსპერტებისაგან საკუთარი სინდისისა და საღი აზრის წინააღმდეგ სიარული გასაგებია: უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანური არსება ხორციელი გადარჩენისათვის იბრძვის; მაგრამ რა აიძულებს მილიარდერს, უმწეო ჟურნალისტებისა და ექსპერტებისავით მოიქცეს?

პუბლიცისტი გია თვალავაძე სწორ ახსნას უძებნის ბიძინა ივანიშვილის იძულებულ უმოქმედობას: „სადავო არ არის და ამას თავად ბიძინა ივანიშვილიც აღიარებს, რომ ეს ავადსახსენებელი კოჰაბიტაცია დასავლეთის მმართველი ბიუროკრატიის მიერ არის საქართველოსთვის თავსმოხვეული, რომელიც საკუთარი პროექტის – ნაცრეჟიმის პოლიტიკური გადარჩენისთვის იბრძვის... არ არის გამორიცხული, რომ ივანიშვილმა სწორედ ამ ძალებთან სახიფათო დაპირისპირებას აარიდა თავი, რადგან იგი მის ფინანსურ იმპერიასაც დიდ საშიშროებას უქმნიდა, მით უმეტეს, ცნობილია რომ მან თავისი კაპიტალი სწორედ დასავლური საინვესტიციო ფონდების ანგარიშებზე განათავსა, ხოლო დასავლეთისათვის არასასურველი ლიდერების ანგარიშების გაყინვა ჩვეულებრივი ამბავია დასავლური სამყაროსთვის“ .

ამ საშიშროებით უნდა აიხსნას მილიარდერის პოლიტიკაში მოსვლისა და ნაადრევად წასვლის იძულებაც. **აშკარაა, რომ ბიძინა ივანიშვილი იმისათვის მოიყვანეს ხელისუფლებაში, რომ მას ლოკომოტივობა გაეწია ურეიტინგო ალასანიასა და რესპუბლიკელებისათვის, რომლებმაც თავიანთი „ალიანსით საქართველოსთვის“ მერის არჩევნებშიც ვერ გაქაჩეს, გადაებარებინა მათთვის ძალაუფლება და, როგორც მავრი, რომელმაც გააკეთა თავისი საქმე, უნდა წასულიყო.** ბატონი ბიძინა : „ის, რაც შეიძლებოდა პოლიტიკაში ჩემი მხრიდან, მე გავაკეთე... ჩემს გუნდს ექნება საშუალება, უჩემოდ მეტი პასუხისმგებლობა აიღოს“. მისი „ვაგონები“ არა მარტო გადაარჩენენ ნაცმოძრაობას, არამედ ხელისუფლებაშიც დააბრუნებენ და რიგრიგობით იხელისუფლებენ, როგორც ამერიკაში „რესპუბლიკელები“ და „დემოკრატები“, საერთაშორისო სტრუქტურების ინტერესებისათვის (ეს უკანასკნელნიც უხილავი „საერთაშორისო სტრუქტურების“ ინტერესებისათვის „ხელისუფლობენ“ და არა ამერიკელი ხალხის ინტერესებისათვის!).

ამიტომ უმადურობა იქნება, „ქვეყნის გათავისუფლება ერთპიროვნული დიქტატურისგან“ მთლიანად მილიარდერს მივაწეროთ და მადლობა არ ვუთხრათ ელჩ ნორლანდსაც, ურომლისოდაც ვერც ქვეყნის გათავისუფლება მოხდებოდა და ვერც განმათავისუფლებლის გადარჩენა. ყველას გვახსოვს, რომ 1 ოქტომბრის საღამოს, ხაშურის საარჩევნო უბნის დარბევისა და სხვა ძალადობების შემდეგ, სააკაშვილი ფარ-ხმალს არ ყრიდა და თავხედურად აცხადებდა, „მაჟორიტარული არჩევნები ჩვენ მოვიგეთო“, და მხოლოდ 2 აგვისტოს შუადღისას, მას შემდეგ, რაც აშშ-ის ელჩი „ესაუბრა“, იკადრა, ეღიარებინა დამარცხება და „ოპოზიციურ პრეზიდენტად“ გამოეცხადებინა თავი. ამის გამო დაიწერა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“: „აკი მიშამ, მაჟორიტარული არჩევნები ჩვენ მოვიგეთო!“ **ასე, რომ არავითარ „ხელისუფლების მშვიდობიან გადაცემას“ არ ჰქონია ადგილი. რაც შეეხება მოარულ აზრს იმის შესახებ, თითქოს ბიძინა ივანიშვილი „დროებით შემოვიდა პოლიტიკაში და საკუთარი თავგანწირვის ფასად გადაარჩინა ერი და სახელმწიფო სააკაშვილის სადისტურ რეჟიმს“** (პეტრე მამრაძე და სხვ.), ცოტა გადაჭარბებულია: სააკაშვილს უპატრონო ადამიანების სიცოცხლეზე ემარჯვება ხელის აღმართვა, აშშ-ის მიერ დაცულს კი თითსაც ვერ დააკარებდა და ვერც დააკარა.

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური უმოქმედობა გასაგებია: ფინანსური იმპერია აქვს დასაკარგი. მაგრამ რა იმპერიები აქვთ დასაკარგი სახელისუფლებო სტრუქტურების ხელმძღვანელებს - პარლამენტარებს, მინისტრებს, მთავარ პროკურორსა და სხვა მაღალჩინოსნებს, რომლებიც თავს იდებილებენ და კანონითა და თანამდებობით მინიჭებულ სახელმწიფო მოვალეობებს არ ასრულებენ?

ამ საქმეში დაგვეხმარება პუბლიცისტი იაკობ ლეჟავა, რომელიც თავის შესანიშნავ სტატიაში – „რას ეყრდნობა სააკაშვილი?“- სახელმწიფო მოხელეთა გარყვნისა და გაუკუღმართების საიდუმლოს გვიხსნის: **„სააკაშვილს არაფერი ახალი არ გამოუგონია, იგი იყენებს ძველთაგანვე კარგად აპრობირებულ, უტყუარ საშუალებას, რომელსაც „ოქროთი დატვირთული ვირის ფენომენი“ ანუ „ჯოჯოხეთის მანათობელი ძალა“ ჰქვია. ესაა ფული!!! ფული არის მთავარი და გადამწყვეტი ძალა ყველა იმ უკანონობისა, რაც საქართველოში ხდება, ფული და ამ ფულით მოპოვებული (შემდეგ კი კანონმდებლობით გამყარებული) ძალაუფლება არის ის, რაც ასე რყვნის ნებიერს და მით უფრო, გარყვნილებისკენ, ძალადობისკენ მიდრეკილ ადამიანს“.**

მაგრამ სააკაშვილი კი არა, მაშინაც თურმე ივანიშვილი რყვნიდა მათ (სააკაშვილს რა შავი ქვა ებადა, რომ თავისი ჩინოვნიკებისათვის არნახულად მაღალი „ხელფასები“ ეხადა?!): „100 ლარი იყო პარლამენტარის და მინისტრის ხელფასი, როდესაც სააკაშვილის ხელისუფლება მოვიდა. არავის გაუგია, ჩემი ინიციატივა იყო, ორი წელი და რვა თვე მე ვუხდიდი ხელფასებს. იმიტომ. რომ მინისტრს ასი ლარი თუ ექნება, იმას კორუფციისგან ვერ დაიჭერ ვერაფრით“.

ჰოდა, უხადეთ ახლაც, ბატონო ბიძინა, ოღონდ საკუთარი ჯიბიდან, და არა ბიუჯეტიდან! თუ სააკაშვილის ჩინოვნიკებს თქვენ უხდიდით, თქვენი ჩინოვნიკებისთვის ჩვენ გინდათ გვახდევინოთ?! ტელეარხ „კავკასიის“ წამყვანი დავით აქუბარდია გაოცებულია: რაღაც სამმილიონიან ქვეყანაში ასი ათასი ჩინოვნიკიაო! მაინც რას უძლებს ეს საწყალი ბიუჯეტი?! ქვეყანაში წარმოება არ არის და საიდან ამხელა „ხელფასები“?! ხელფასებს ვამბობთ, თორემ შარაგზის ყაჩაღებს ასეთი ნადავლი არც დაესიზმრებათ! თუმცა „ჯარიმები“ აქ არ არის! „მაესტროს“ ეთერში დიანა ტრაპაიძემ და თეონა გეგელიამ სასაუბროდ მიწვეულ დავით ბერძენიშვილს ჰკითხეს: რა არის, ბატონო დავით, ავტობუსის უბილეთო მგზავრმა 100 ლარი ჯარიმა რომ ვერ გადაიხადოს, სახლი უნდა გაუყიდოთო?! „ლიბერალი“ პარლამენტარი ცინიკურად იღიმებოდა და ყაჩაღურ „ჯარიმებს“ ამართლებდა.

„სააკაშვილს მე ვასწავლე გადასახადების აკრეფაო“!

ბარაქალა, ასეთი „გულკეთილობისათვის“, მაგრამ ხომ არ სჯობდა ის გესწავლებინათ, შევარდნაძეს შემნახველი სალაროებიდან მიტაცებული დანაზოგები დააბრუნებინე და გადასახადებს ხალხი „უსწავლელად“ გადაიხდისო?! მაგრამ შევარდნაძეს კი არა, სააკაშვილსაც არ აბრუნებინებთ მიტაცებულს.

„წინა ხელისუფლება ქონებას ართმევდა მოქალაქეებს, შემდგომ ნაწილობრივ სახელმწიფოს ახმარდა ამ თანხას, ნაწილს კი „ცალკე პროცესებში“ იყენებდა, რაც ცალკე გამოსაკვლევია. ამ გზით მიღებული ფულის დიდ ნაწილს წინა ხელისუფლება იყენებდა არაეფექტურ მშენებლობებში, ძალით აშენებინებდა და არემონტებინებდა კომპანიებს შენობებს... გასაგებია, რომ სახელმწიფომ პასუხი უნდა აგოს და აღადგინოს სამართლიანობა. მაგრამ სახელმწიფო ეკუთვნის არა მხოლოდ იმ ნაწილ ხალხს, ვინც კონკრეტულად დაზარალებულია, არამედ მთელ საზოგადოებას, და ჩვენ შეიძლება საზოგადოებას განვითარების პერსპექტივა დავუკარგოთ, თუ ამ ვალებს სახელმწიფო თავის თავზე აიღებს“.

კი, მაგრამ ყველა ვალი სახელმწიფომ რატომ უნდა აიღოს თავის თავზე?! სახელმწიფომ გაყიდოს „არაეფექტური მშენებლობები“ („პრეზიდენტის“ სასახლე, ქუთაისის „პარლამენტი“, ბობოყვათის „რეზიდენცია“ და ა.შ.) თანხა კონკრეტულად დაზარალებულ ადამიანებს გავუნაწილოთ, დანარჩენი კი სააკაშვილისა და მისი ჩინოვნიკებისაგან ამოვიღოთ: სახლებში თუ სასახლეებში წაღებული ნაღდი ფული უკან დავაბრუნებინოთ, სასახლეები ზოგი გავყიდოთ, ზოგში დევნილები შევასახლოთ, ხოლო თვითონ, ქუჩაში რომ არ დავტოვოთ და ნაგავში არ ვაქექინოთ, ვირის აბანოში მივაბრძანოთ და ბალანდით უზრუნველვყოთ! მათთვისაც კარგი იქნება: ქონებს დაყრიან და ადამიანებს დაემსგავსებიან. მანამდე კი ჩინოვნიკების რაოდენობა შევამციროთ და ხელფასები 1000 ლარით განვუსაზღვროთ!

„მინისტრს ასი ლარი თუ ექნება, იმას კორუფციისგან ვერ დაიჭერ ვერაფრითო“.

ისე დაიჭერ, რომ მზე მაღლა იყოს! **ვისაც მუშაობა უნდა, 500 ლარადაც იმუშავებს! თუ არა გჯერათ, კონკურსი გამოაცხადეთ და - რიგი დადგება, ათჯერ უფრო პატიოსანი და მცოდნე ადამიანების, ვიდრე თქვენი მინისტრებია! ვისაც კორუფცია უნდა, იმას თქვენი „ხელფასებიც“ ვერ დაიჭერს. აკი, ვერც დაიჭირა: „ელიტური კორუფცია“ შექმნეს!**

**ომარ ხახაშვილი.**

20.10.2013

№206. შაბათი, 26 ოქტომბერი, 2013 წელი.

**ჩემს სათქმელს ვიდრე დავიწყებდე, ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონიდან“ კვირიას ნათქვამი უნდა გავიხსენო:**

**„სანამ ცოცხალ ვართ, მტრები გვყავ,**
**ბევრად სჯობს ვიყვნეთ ცდაზედა,**
**როცა მოვკვდებით, დე, გაჰქრეს**
**ბედის ვარსკვლავი ცაზედა,**
**ცოცხალს კი უნდა გვეხუროს**
**ნამუსის ქუდი თავზედა,**
**სიცოცხლეს აუგიანსა,**
**სიკვდილი მიჯობს ხმალზედა“.**

კვირიას არაფერი უთქვამს, ვაჟა-ფშაველამ თქვა ეს და, არა მგონია, „ევროპული ცივილიზაციის“ მიღწევებისა, თუ არნახული ტექნიკური პროგრესის პირობებში მტერ-მოყვარესთან დაკავშირებით რაიმე არსებითად შეცვლილიყო ბრძენი ვაჟას შემდგომ ასწლეულში. ამის დასტური მეცნიერულ გამოკვლევებსა და ფილოსოფოსთა ნააზრევში კი არ არის საძებარი, აგერ ჩვენს თვალწინ პრაქტიკულად ჩან, რომ კერძო კაცისა თუ სახელმწიფოს წარმატება და კეთილდღეობა იმაზეა დამოკიდებული, რამდენად დროულად და სწორად გამოიცნობს იგი მტერ-მოყვარეს, მერე კი იმასაც შესძლებს, მტერს მტრულად დახვდეს და მოყვარეს – მოყვრულად. საუკუნეთა ქარტეხილებში ბევრი სახელმწიფო აღიგავა პირისაგან მიწისა, მათ შორის ისეთნიც, ძალითა და ენერგიით სამაგალითოდ რომ მიაჩნდათ მაშინ. მტერ-მოყვარე ვერ გამოიცნეს დროზე და ამიტომ მიიბარა ისტორიულმა მეხსიერებამ ისინი.

არსებობა თუ გვინდა, წინაპარათა არც ის შეგონება უნდა დაგვავიწყდეს, რომ „მტერი მოყვრულად მისული, მტერზედაც უარესია“. უარესი იმიტომ არის, რომ ვიდრე ამ „მოყვრულად მოსულში“ მის ნამდვილ სახეს დაინახავ, ამასობაში ის თავის შავბნელ საქმეს სანახევროდ მაინც გააკეთებს და მერე სდიე კუდში და იდაყვზე იკბინე თუ გინდა, წამხდარ საქმეს რაღას უშველი.

ამას რომ ვამბობ, ვინმეს განათლება კი არ განმიზრახავს, ეს ყველაფერი აქამდეც იცოდით ყველამ, მაგრამ ზოგიერთ წარუვალ ჭეშმარიტებას, საჭიროებისდა მიხედვით ხშირ-ხშირად რომ შევახსენებდეთ ერთმანეთს, კარგი იქნებოდა.

სწორედ ამის საჭიროებაა დღეს ჩვენში, როცა მარცხნიდან და მარჯვნიდან ძლიერნი ამა სოფლისანი დღენიადაგ ჩაგვჩიჩინებენ კოჰაბიტაციის რეჟიმში იცხოვრეთო, ანუ ავსა ავი არ უწოდოთო. მაშინ კარგსა რა დავარქვათ თუ იკითხე, შეგაჩვენებენ: შემწყნარებელი, ანუ ტოლერანტული(!) არ ხარო, „ევროპულ ღირებულებებს“ არ აღიარებ და შენს გამო ნატოში არ მიგვიღებენო. ასეთ „ცოდვას“ რომ აგკიდებენ, ავისა და კარგის გარჩევაზე ხელს აიღებ, აბა, რას იზამ!

სწორედ ახლა უნდა გავიხსენოთ ჩვენ და შევახსენოთ კოჰაბიტაციის ადეპტებს, რას ნიშნავს „მოყვარე“ და რას – „მტერი“.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს დავიმოწმებ: **„მოყვარე** - ახლობელი, კეთილის მდომი, მოკეთე“; **„მტერი** – ვინმესთვის ავის მდომი, ავის მოქმედი, მოსისხლე“.

მინდა თვალებში შევხედო და ვკითხო კოჰაბიტაციონერებს: თქვე სახელმწიფო მოღვაწეებო, იმას გვირჩევთ, რომ კეთილის მდომს, მოკეთესა და ავის მოსურნეს, მოსისხლეს ერთნაირად მოვექცეთ? იქნებ იმ ხალხთან გვირჩევთ მეგობრულ თანაცხოვრებას, რომლებსაც არაფერი დაუშავებიათ და მხოლოდ შეცდნენ? არა! დამნაშავეები რომ არიან, ამას თვითონ ჩვენი მთავარი კოჰაბიტაციონერიც აღიარებს, მაგრამ გვირჩევს: დააშავეს, მაგრამ მაინც ჩვენები, ქართველები არიან და მტრად ნუ მივიჩნევთო.

არ არის ეს დარიგება მართებული და სასარგებლო. მტერ-მოყვარე გვარისა და წარმომავლობის მიხედვით კი არ უნდა განასხვაო, არამედ საქმითა და საქციელით. გერმანელი არტურ ლაისტი და ინგლისელი მარჯორი უორდროპი საქართველოს მეგობრები იყვნენ, ქართველი ყორღანაშვილი კი – მტერი და მტრულადაც მოექცა მას პატრიოტი ქართველი საჩინო ბარათაშვილი: ქარაფზე გადაჩეხა და ყვავ-ყორნებს მიუგდო საძიძგნად. ასე უნდა მოექცე მტერს, რა გვარისა და ჯიშისაც უნდა იყოს იგი.

ახლა იმათი „შეცდომები“ გავსინჯოთ, ვისთანაც „კოჰაბიტაციურ“ ჩახუტებას გვთხოვენ ოკეანისგაღმელი, თუ აქაური უფროსები (ყველაფერს ვინ ჩამოთვლის, მე მხოლოდ ზოგიერთს გავიხსენებ!)...

**მოვიდნენ თუ არა ხელისუფლებაში, დაიწყეს სამსახურებიდან ოცდაათ წელს გადაცილებული ადამიანების გამოყრა იმ მარტივი მიზეზით, რომ ისინი საბჭოთა კავშირში დაიბადნენ, ხოლო გადამწყვეტი უპირატესობა მიენიჭათ იმათ, ვინც 1991 წლის შემდეგ იყო დაბადებული. უცხოელმა „დამრიგებლებმა“ ურჩიეს, ალბათ, „ვარდების რევოლუციით“ მოყვანილ პოლიტიკურ ბოსებს, საბჭოურ მენტალიტეტს სხვაგვარად ვერ აღმოფხვრითო. შედეგად მივიღეთ ის, რომ ქვეყნის მართვის სადავეები უწვერულმა „უზნეო ბავშვებმა“ ჩაიგდეს ხელში და აგვიხდინეს ჩინური წყევლა: თქვენს ქვეყანას მართავდნენ უასაკონიო.**

სხვათა შორის, იმასაც ამბობენ, რომ „ვარდოსნების“, იგივე ნაცების ერთ მაღალჩინოსანს საჯაროდ უთქვამს: ორმოც წელს გადაცილებული ხეც არ მინდა ეზოშიო. ასეთივე მაღალჩინოსანი ერთხანს განათლების სისტემას ხელმძღვანელობდა და თავისი სურვილი თითქმის აისრულა: სკოლებიდან თუ უმაღლესი სასწავლებლებიდან დაიფრინეს გამოცდილი, აღიარებული, ცნობილი პროფესორ-მასწავლებლების უმრავლესობა. მათ ნაცვლად აუდიტორიებსა და კლასებში შეყარეს გოგო-ბიჭები. ვინც უცხოეთში ორკვირიანი ტრენინგები გაიარა, ინგლისური ენა და კომპიუტერის მოხმარება იცოდა (რაც ჩემმა შვიდი წლის შვილიშვილმაც კი იცის!), ოქსფორდისა, თუ ფილადელფიის უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებად წარმოგვიდგინეს და პროფესორებად დასვეს ქართულ უნივერსიტეტებში.

აი, ამნაირ ხალხს დაევალა რადიკალური რეფორმების გატარება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, იმ რეკომენდაციებისა და მითითებების მიხედვით, რასაც მათ ოკეანისგაღმელი პატრონები აწვდიდნენ. ჩვენი ქვეყნისთვის ფანტასტიკურად მაღალი ხელფასებითა და ბევრი სხვა პრივილეგიით თავბრუდახვეულმა ლაწირაკებმა თავდავიწყებით დაიწყეს ეგრეთ წოდებული რეფორმების გატარება ეკონომიკაში, განათლებასა და კულტურაში. შედეგად მივიღეთ არა **რეფორმირებული**, არამედ დეფორმირებული ეკონომიკა, განათლება, კულტურა. დეფორმირებული-მეთქი, რომ ვთქვი, - გული გავიკეთე თითქოს, თორემ ვინც ბრმა არ არის, კარგად ხედავს, რომ ჩვენი ეკონომიკა მიწასთან არის გასწორებული, კერძოდ, ტრადიციული სოფლის მეურნეობა გაპარტახებული, განათლების სისტემა საფუძვლიანად დანგრეული, კულტურა ლამის ბოლომდე გადაგვარებული.

შეგნებულად ვარიდებ თავს იმის ახსნას, თუ კონკრეტულად რას ნიშნავს მიწასთან გასწორებული ეკონომიკა, დანგრეული განათლების სისტემა, თითქმის ბოლომდე გადაგვარებული კულტურა, რათა ისეთი შავბნელი სურათი არ გამომივიდეს, რომ პესიმისტური ნიჰილიზმის განმტკიცებას შევუწყო ხელი.

რა ჰქვიათ იმათ, ვინც ყოველივე ამის შემოქმედია? შემცდარი მოყვრები? არა!

ვისაც ქვეყანა უყვარს და ჭკუა მოეკითხება, დღენიადაგ შეჰღაღადებდნენ ნაცების ხელისუფლებს, რომ არ შეიძლებოდა იმის გაკეთება, რასაც აკეთებდნენ, მაგრამ ვინ უსმენდა მათ? მაკკეინი და ძმანი მისნი იყვნენ მათი პატრონებიც და მოძღვრებიც (სხვათა შორის, ერთმა ნაცმა მინისტრმა თავის სამსახურებრივ მანქანას სანომრე ნიშნები მოხსნა და მაკკეინის გვარი მიაწერა. დაუშლიდა ვინმე, თუ?). მათმა რეკომენდაციებმა ის შედეგი გამოიღო, რაც ამერიკულმა სიმინდის თესლმა, რომელსაც ნახევარმეტრიანი 5-7 ტარო უნდა მოება და შვიდი მარცვალიც ვერ მისცა მოტყუებულ ქართველ გლეხებს. ის, რაც ოჰაიოსა თუ არიზონას შტატში ვარგობს, საგარეჯოსა და აბაშაში ვერ იხეირებს, ვერა!

არ არის ეს ქვეყნის მტრობა?

გაპარტახებული ეკონომიკის მქონე ქვეყნიდან უცხოეთში რომ გააქციეს მილიონნახევარი ქართველი, თემურ-ლენგსა, და შაჰ-აბასს მეტი ბოროტება კი არ ჩაუდენიათ საქართველოს მიმართ.

მტერია ამის მქნელი, რა გვარისა და წარმომავლობისაც უნდა იყოს, ის ჩვენიანი არ არის, ის ჩვენი მტერია!

რა კოჰაბიტაცია, რისი შენდობა! მტერი, ვიდრე იარაღს არ დაჰყრის და არ მოინანიებს, მანამდე თუ შეიწყალე, მაშინ შენ უნდა დაყარო იარაღი და კისერი მიუშვირო მის მოქნეულ ხმალს. ამას გვირჩევენ „ცივილიზებული“ და „ტოლერანტული“ დასავლელი „მეგობრები“? მაშინ თვითონ მოგვცენ ამის მაგალითი! ისეთი მაგალითი კი არა, ბელგრადი რომ დაბომბეს ამას წინათ, რატომ წითელ კოჭს არ უგორებთ კოსოველ სეპარატისტებსო, ან

# მოყვრები და მტრები



პატარა სირიას რომ ემუქრებიან დიდ-დიდი ნატოელები, იმას დაგმართებთ, რაც ლიბიასა და ერაყს დავმართეთო.

**იქნებ ის არ არის მტრობა, ჩვენი სახელით და ვითომ ქვეყნისთვის, თორმეტი მილიარდი სესხად რომ აიღეს და თავიანთ გაუმაძღარ სტომაქში გადაუძახეს, ვალის გადახდა კი ჩვენ და ჩვენს შვილებს აჰკიდეს.**

ერთ მაგალითს გაგახსენებთ, სადაც კარგად ჩანს ამ „ჩვენი შემცდარი ძმების“ ზნეობრივი მრწამსი და უსინდისო ლოგიკა...

ნაცებმა ხელისუფლება ჩაიგდეს თუ არა ხელში, უპირველეს ყოვლისა, თავიანთ კეთილდღეობაზე ზრუნვა ხელფასების მომატებით დაიწყეს. საკითხი პარლამენტის სხდომაზე გაიტანეს და ხმის უმრავლესობით (ჰმ!) გადაწყვიტეს: პარლამენტის დეპუტატის ხელფასი ხუთასი (500!) ლარით გაზრდილიყო. კაი დაგემართოთ, მაგრამ ხალხზეც ხომ უნდა „ეზრუნათ“, ამიტომ იქვე ხელდახელ გადაწყვიტეს: პენსიები გაზრდილიყო ხუთი (5!) ლარით. როდესაც ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტმა მაშინდელი პარლამენტის ერთ ბობოლა დეპუტატს მორიდებით ჰკითხა: უხერხული ხომ არ არის, თქვენ თავს ხუთასი ლარით გაუზარდეთ ხელფასი, პენსიონერებს კი ხუთი ლარითო; იმ ბობოლას სირცხვილით ყურის ბიბილოები კი არ გაწითლებია და თავი კი არ ჩაუღუნავს, საქმეში სხვაზე მეტად ჩახედული კაცის სიამაყით აუხსნა: პარლამენტში მხოლოდ ორასორმოცდაათი დეპუტატია, პენსიონერი კი არეულობით ათასია და იმდენი ფული სად არის, ყველასთვის გაგვეწვდინაო.

მიდი და შეედავე!

ეს კაცი და ძმანი მისნი არიან ჩვენი „შემცდარი მოყვრები?“ არა! ისინი ჩვენი მოყვრები არ არიან!

მშობლიური ქართული ენის აბუჩად აგდება და დაკნინება მტრობაა, აბა, რა ჯანდაბაა! მშობლიურ გრძნობას რომ თავი დავანებოთ, ქართული ენა საქართველოს სახელმწიფო ენაა და „მტერობა ენის, არს მტრობა ქვეყნის“. ქვეყნის მტრობა კი, თუ ის შინაურის ჩადენილია, ღალატია და მოღალატეს უმძიმესი სასჯელი ელის ნებისმიერი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ხოლო ზნეობრივი სასჯელი უფრო მძიმეა, თაობიდან თაობაზე გადადის. ყორღანაშვილებისა და ბერბიჭაშვილების შთამომავლებს ახლაც რცხვენიათ თავიანთი პაპის პაპის პაპის ღალატის გამო.

ინგლისური თუ არ იცი, წარმატებული ვერ იქნებიო, – ბრძანა ნაცების ერთმა ბოსმა და დაიწყო... ნებისმიერ სამსახურში კადრების შერჩევისას ინგლისურის ცოდნა უპირველეს მოთხოვნად იქცა. ქართული ენა იცი თუ არა, ამას არავინ კითხულობს. ქართული ტელევიზიების ჟურნალისტებსაც კი აღარ სთხოვენ ქართულის ცოდნას, რაც კარგად ეტყობა მათ გადაცემებს.

ქართული ენის მცოდნე და ქვეყნის მოყვრები სამსახურებიდან დაითხოვეს, ქართული ენის უცოდინარები და ქვეყნის მტრები კი გალაღდნენ..

ამის ჩამდენები არიან ჩვენი მოყვარე თანამოძმენი? არა! თავიანთი გულითა და შეგნებით ესენი არც ქართველები არიან. რა ქართველები არიან, როდესაც მათ იმ უდიდესი ქართველის ხსენება აკრძალეს, ვისაც ნახევარი მსოფლიო მოწიწებით ფეხზე უდგებოდა, ხოლო ქალაქის ცენტრში, ყარაჩოხელების უბანში ამერიკელი რეიგანის ძეგლი დაასკუპეს, ერთ-ერთ გამოსაჩენ მაგისტრალს კი აშშ-ის ოდიოზური პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის სახელი უწოდეს და მისი პორტრეტი ქუჩის თავში გამოფშკირეს.

რა ძმობა და მოყვრობა უნდა გვქონდეს ამ გაგებისა და მიზნების ადამიანებთან? ვისაც საქართველო უყვარს და სამშობლოდ მიაჩნია, ის ხალხი მტრად უნდა მიიჩნიოს და მტერს მტრულად მოექცეს, თუ არა და აღიაროს, „ბილწთა შევეკარ ზავითა“-ო.

ქვეყნის სათავეში მოქცეულმა ნაცებმა ისეთი ბოროტება ჩაიდინეს, რომელიც დღემდე ცნობილ ყოველგვარ გამცემლობასა და ღალატზე უარესია: ათასწლეულების განმავლობაში ჩვენი წინაპრების სისხლითა და ოფლით შენარჩუნებული, მათი ხორცითა და ძვლებით გაპოხიერებული მიწები უცხოელებს გაუცვალეს მწვანე დოლარებზე. „მშობლიურო ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ, გიცავდი და გიცავ მარად, გიცავდი და კვლავ დაგიცავ“, – ამ შეგნებისა და მრწამსით გაზრდილი კაცი მშობლიური მიწის გამყიდველს მტერზე უფრო მტრად ჩათვლის, აბა, რას იზამს! არც მის დაუსჯელობას შეეგუება!

ამას წინათ ჩვენმა ნაწილობრივ ვაიპარლამენტმა, თავისი გადაწყვეტილებით, დროებით შეაჩერა მიწის უცხოელებზე გაყიდვა. კი არ აკრძალა, ერთი წლით შეაჩერა! თითქოს ერთი წლის მერე ჩვენი მიწა-წყალი წამოიზრდება, იბარტყებს და გასაყიდიც ბევრი გვექნება. მშობლიური მიწა-წყლის გაყიდვის დროებითი შეჩერება (მორატორიუმი) ამიტომაც არის გაუგებარი ჯანსაღი გონებისათვის. სამაგიეროდ ძალიან გასაგებია იმ არასამთავრობო ორგანიზაციების აღშფოთება და პროტესტი, რომლებიც ქართული მიწა-წყლის უცხოელებზე გაყიდვის დროებით შეჩერებას აღუშფოთებიათ.

**ახლა მე ღვთისა და ხალხის წინაშე ყველა ჭეშმარიტ მამულიშვილს ვეკითხები: ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ჩვენი წინაპრების მიერ საუკუნეთა განმავლობაში გმირული ბრძოლით შენარჩუნებულ და ჩვენამდე მოტანილი საცხოვრისის გადამთიელთათვის მიყიდვის მოწადინენი არიან, ან მათი დიდი თუ მცირე მხარდამჭერები, საქართველოს პირწავარდნილი მტრები არ არიან? ისინი მშობლიური მიწა-წყლიდან ჩვენი შთამომავლობის ამოძირკვის მსურველნი არ არიან? დარწმუნებული ვარ, არიანო, – იტყვით.**

რაგინდარა უცხოელმა „ექსპერტმა“, დემოკრატიის „ექსპორტიორმა“, „უფლებადამცველმა“, ევროპარლამენტარმა თუ ნატოელმა ოპრიჩნიკმა გვირჩიოს, ან დაგვემუქროს (მაგათმა თავის ხეთქვამ, ცოტა მუქარა გაგვიგონია ჩვენი ისტორიის განმავლობაში თუ რა!) კიდეც, გინდათ თუ არა ამგვარი „თანამემამულენი“ მოყვრებად ჩათვალეთ და მათთან იკოჰაბიტაციეთო, არ უნდა დავუჯეროთ! არ უნდა დავუჯეროთ იმიტომ, რომ ჩვენში ათადან ბაბადან ცნობილია – „ავსა კარგად ვერვინ შეცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს“ (რუსთველი). ჰო და, ჩვენი შთამომავლობის ამოძირკვის მოწადინეს მიმართ შემწყნარებელი როგორ ვიქნებით!

ქართული სახელმწიფოებრიობისა და, კერძოდ, ქართველთა უკვე შეუნიღბავი მტრების, არასამთავრობო ორგანიზაციების ერთი ნაწილის შესახებ პირდაპირ ვიტყვი:

ბევრი ჩვენი თანამემამულე დარწმუნდა, რომ ამ ორგანიზაციებს „არასამთავრობო“ კი არ უნდა ერქვათ, არამედ – ანტისახელმწიფოებრივი. ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება ჰქვია, აბა, რა ჰქვია იმას, როდესაც ეროვნულ ღირსებას, ზნეობას, ტრადიციებს ვინმე უზნეო და ტვინნაღრძობი ხელყოფს და ამგვარ ხელყოფას საზოგადოება პრინციპულ წინააღმდეგობას გაუწევს, არასამთავრობო ორგანიზაციები კი ერთ ვაი-უშველებელს ატეხენ ხოლმე – არიქა, ადამიანთა ერთი ჯგუფი იჩაგრებაო და მშველელად ოკეანისგაღმელ „ძიებსა“ და „მამიდებს“ უხმობენ.

ამგვარი „უფლებადამცველები“, „სამართალდამცველები“ და კიდევ ბევრი ისეთი რამის დამცველები, რომელსაც წესიერ საზოგადოებაში ვერც კი გაამხელ, უხვად ფინანსდებიან უცხოეთიდან. ამდენი სერიალებისაგან თუ მთლად გამოსერიალებული არ არის კაცი, ხომ უნდა დაფიქრდეს, უცხოქვეყნელები რატომ უხდიან ფულს იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ჩვენი სახელმწიფოს ზნეობრივ და პოლიტიკურ (არას ვამბობ ეკონომიკურზე) საყრდენებს ანგრევენ. რომელი ჭკუათმყოფელი დაიჯერებს იმას, რომ ოკეანისგაღმელი კაპიტალისტები დღენიადაგ იმის ფიქრში არიან, ფოთსა თუ ხაშურში ვინმე კოჩიასა და გოგიას უფლებები არ დაირღვესო. საქმე მარტივად არის: ჩვენი მტრები ფულს უხდიან ჩვენსავე თანამემამულე დივერსანტებს საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ განხორციელებულ დივერსიაში.

დივერსანტი ქვეყნის მტერზე უფრო მტერია და, სადაც სამართალია, მათ ადგილზევე ანადგურებენ.

მე რომ დივერსანტებზე ვლაპარაკობ, ისინი იმ დივერსანტებს კი არ ჰგვანან, ხიდებსა და გვირაბებს რომ აფეთქებდნენ მოწინააღმდეგის ზურგში, არა! იმ დივერსანტებზე მოგახსენებთ, ჩვენი ხალხის ზნეობისა და ეროვნული ტრადიციების აფეთქება რომ უნდათ. უბედურებით ცნობილ ერთ-ერთ არასამთავრობო ინსტიტუტში აღზრდილმა ზნეობრივი დივერსანტების ერთმა ჯგუფმა ხელისუფლების ხელში ჩაგდებისთანავე განაცხადა: ჩვენი ხალხის მენტალიტეტი უნდა შევცვალოთო და მაშინვე მკვდრეთით აღადგინეს 20-იანი წლების მასონ-ბოლშევიკთა მოწოდება „ძირს სირცხვილი!“ (Далой стид!). მაშინ იყო სწორედ, ჩვენი ქვეყნის ვაიდაუიპრეზიდენტმა 13-14 წლის გოგო-ბიჭებს რომ მოუწოდა ბუჩქებში „გორაობისკენ“.

უზნეობის ზეობამ დაანგრია რომისა და ბიზანტიის იმპერიები და ჩვენნაირ პატარა ქვეყანას რას უზამს!

**მტრების ხელშია მთავარი სამაუწყებლო საშუალებები – ტელევიზიები. მათი დიდი უმრავლესობის მიზანია არა ხალხის ინფორმირებულება-განათლება, არამედ ტვინების გამორეცხვა-დაბნელება. პოლიტიკური თოქშოუებია და... ნახეთ ერთი, ვის იწვევენ: ათ კაცში ორს თუ მოეკითხება ჭკუა, დანარჩენი რვა ან დეგენერატია, ან გასანთლული თოკით გასაკოჭავი, ამას წინათ ერთ არხზე, პოლიტიკურ პრობლემებზე ჭკუის საკითხავად ისეთი „პოეტი“ ჰყავდათ მიწვეული, რომელიც საზოგადოებრივი ტუალეტების კედლებზე მისაწერ „ლექსებს“ რომ წერს, მაგალითად ასეთს: „მაშინ მომდის მუზები, როცა წაიკუზები“. ამის დამწერს უნდა სთხოვო, ძალიან მაინტერესებს თქვენი აზრი ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის შესახებო? მაშინ ან შენ ხარ გამოთაყვანებული, ან ჩვენი გამოთაყვანება განგიზრახავს.**

ერთი სიტყვით, ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენი ქართული საზოგადოება აშკარად გაყოფილია ქვეყნის, ერის მოყვრებად და მტრებად. კიდევ უფრო სამწუხარო ის არის, რომ ამის საჯაროდ გამხელას კეთროვანივით ერიდებიან ჩვენში. „საქმე იმიტომ უფროა ცუდად, რომ ცუდად როა, არ იცის ბევრმა“ (მუხრან მაჭავარიანი).

მოყვრები და მტრები...

ეს რეალობა კიდევ უფრო გაცხადდა მას შემდეგ, როცა ოფიციალურად ითქვა ყველაზე მაღალი ტრიბუნიდან: ჩვენ რომ ახლა დამნაშავეების (მტრების!) დასჯა დავიწყოთ, ჩვენც წინა ხელისუფლებას დავემგვანებითო, ამიტომ „სუფთა ფურცლიდან“ დავიწყოთ ცხოვრება, წარსულს შევეშვათ და მომავლისაკენ გავიხედოთო.

გიყვარდეს მტერი შენიო, – ამის თქმა მხოლოდ სასულიერო პირს ეპატიება, რადგან არაამქვეყნიური სამყაროს ზნეობრიობას ქადაგებს იგი. მიწიერ სამყაროში კი მტრის შეყვარება ღალატია, რაც უმძიმესი სასჯელით ისჯება. „კაცი ცრუ და მოღალატე, ხამს ლახვრითა დასაჭრელად“ (რუსთველი).

**ზურაბ ცუცქირიძე**

*გუშინწინ, 25 ოქტომბერს ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა თავდაცვის ყოფილი მინისტრის გენერალ-ლეიტენანტ დავით თევზაძის ინტერვიუ, რომელშიც საუბარია „ვარდების რევოლუციის“ ზოგიერთ უცნობ დეტალზე, კერძოდ თუ რის სანაცვლოდ მოვიდა რევოლუციური სამეული ხელისუფლებაში.*

*პუბლიკაციას მკითხველის ცხოველი ინტერესი მოჰყვა. ვაგრძელებთ თემას. ამჯამად ჟურნალისტის კითხვებს უპასუხებს გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი გენერალი ვლადიმერ იმნაძე, რომელსაც თავის ინტერვიუში იმოწმებდა ბატონი დავით თევზაძე.*



# „კვაშნინმა მკითხა, ამ ახალგაზრდებს რა უნდათო“

**„ეს სამეულიც ამ გარიგების შედეგი იყო“,** — აცხადებს გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, გენერალი ვლადიმერ იმნაძე. როგორც მან for.ge-სთან საუბრისას აღნიშნა, რუსეთის გენერალური შტაბის უფროსს, გენერალ კვაშნინს იმ ოთახიდან ესაუბრა, საიდანაც დახურული კავშირით საუბრობენ. როგორც იმნაძე ამბობს, მას აინტერესებდა, ერეოდა თუ არა ჯარი ამ პროცესებში და როდესაც რუსეთის დახმარებაზე მისგან უარი მიიღო, პაუზის შემდეგ უთხრა, რომ „მაშინ, ბიჭებო, თქვენ დაკარგავთ აფხაზეთს და ოსეთს“. გენერალი იმნაძე თვლის, რომ სააკაშვილმა და ბურჯანაძემ უნდა თქვან, თუ რაზე ესაუბრნენ ივანოვს.

**— რა მოხდა 2003 წლის 23 ნოემბერს? როგორც დავით თევზაძე ამბობს, თქვენ მას დაურეკეთ სელექტორის მეშვეობით და მოახსენეთ, რომ დარეკეს რუსეთის გენერალური შტაბიდან. კონკრეტულად ვინ დაგირეკათ?**

— ვლადიმერ იმნაძე: დამირეკა რუსეთის გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალმა კვაშნინმა. ეს არ იყო ზარი ტელეფონზე. მათ, ვინც უზრუნველყოფდა კავშირგაბმულობას, მომახსენეს, თქვენთან საუბარი უნდა რუსეთის გენერალური შტაბის უფროსსო. მე არ მილაპარაკია ჩემი კაბინეტიდან. ველაპარაკე ოფიციალური ოთახიდან, საიდანაც დახურული კავშირით საუბრობენ. დიახ ეს იყო გენერალი კვაშნინი.

**— რა საკითხზე ისაუბრეთ თქვენ და გენერალმა კვაშნინმა?**

— არ მომეწონა მისი ზარი, რადგან საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რაც ეს მოვლენები დაიწყო, სახელმწიფოებთან ურთიერთობა გვქონდა ატაშეებისა და ელჩების მეშვეობით. გამიკვირდა, რომ ამ საკითხზე რეკავს რუსეთის გენერალური შტაბის უფროსი და მით უმეტეს - იმ დღეებში. როდესაც მე ავედი სპეცოთახში და ავიღე ყურმილი, ალბათ ეს მისი ოფიცერი იყო, მეკითხება - გენერალი იმნაძე ბრძანდებითო? დიახ, გენერალი იმნაძე გესაუბრება-მეთქი. მაშინ მითხრა, ელაპარაკეთ გენერალ კვაშნინსო და გადასცა ყურმილი. პროტოკოლური საუბარი იყო.

**— რა გითხრათ კვაშნინმა?**

— მან მკითხა, დახმარება ხომ არ გჭირდებათო.

**— რა სახის დახმარება იგულისხმა?**

— სამხედრო დახმარება რომ გაეწია ჩვენთვის, ალბათ ეს იგულისხმა. რა თქმა უნდა, ჩემგან უარი მიიღო. მე მას ვუთხარი, რომ დახმარება არ გვჭირდებოდა და, ჩვენ თვითონ მოვუვლიდით ამ ვითარებას. შემდეგ მკითხა, ამ ახალგაზრდებს რა უნდათო. მე ვუთხარი, რომ ჯარი ამ საკითხში არ ერეოდა.

**— მას აინტერესებდა, ჯარი ერეოდა თუ არა ამ პროცესებში?**

— რა თქმა უნდა, დაინტერესებული იყო. მან მკითხა კიდეც, რას იზამთ - ჩაერევით თუ არაო, მაგრამ ჩვენ ამაზე უკვე გაკეთებული გვქონდა განცხადება, რომ ჯარი არ ჩაერევა მანამ, სანამ რომელიმე მხარე არ გამოიყენებს ძალას. ეს რომ ვუთხარი, ცოტა ხანი გაჩუმდა და მერე მითხრა სიტყვა-სიტყვით: **„ბიჭებო, მაშინ, თქვენ დაკარგავთ აფხაზეთს და ოსეთს“** და ამით დავემშვიდობეთ ერთმანეთს. ამის შემდეგ, ავედი მინისტრთან, მოვახსენე ამ ზარის შესახებ და ვუთხარი, რაღაც შეიცვლება აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებით-მეთქი. გადავეცი ის, რაც მითხრა გენერალმა კვაშნინმა.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ გითხრათ გენერალმა კვაშნინმა ის, რაც გითხრათ?**

— ვფიქრობ, მის ამ სიტყვაში იდო ის, რომ თუ საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა დემონსტრაციის გზით, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი არ იქნება თქვენიო. **იცით, როგორ იყო საუბარი - რომ რაღაცა რაღაცაზე იცვლებოდა. ან უნდა მოსულიყო რევოლუციური სამეული და ამის სანაცვლოდ ჩვენ ვკარგავდით ტერიტორიებს. იმ წუთში ჩვენ ბევრი კითხვები გვქონდა. მაგრამ, შემდეგ, მოვლენებს თუ დავაკვირდებით — რატომ დაიწყო 2004 წელს სამაჩაბლოში კონფლიქტი, ეს ყველაფერი პირდაპირ კავშირშია ერთმანეთთან. 2004 წელს რუსეთი არ იყო მზად, რომ ჩაებარებინა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი.**

**— თქვენ კვაშნინმა გიხსენათ, რომ საქართველოში ჩამოვიდოდა ივანოვი. რა კონტექსტში იყო ეს ნათქვამი?**

— დიახ, მითხრა. მითხრა, თქვენთან დასახმარებლად ჩამოდის ივანოვი და ვთხოვ, რომ თქვენ მოგისმინოთ და დაგეხმაროთო. მე მას აუხსენი, რომ ჩვენ არ გვინდოდა დახმარება, მოსახლეობა აპროტესტებს არჩევნების შედეგებს. არც მე და არც მინისტრი მას არ შევხვედრივართ.

**— ივანოვის ჩამოსვლა, სამეულთან ერთად. მისი მისვლა პარლამენტის შენობის წინ შეკრებილ დემონსტრანტებთან და სიტყვით მიმართვა, ეს კავშირშია კვაშნინის ზართან?**

—მე საერთოდ კვაშნინის რას ვერ ვიგებ... ეს თუ იყო რუსეთის მიერ დაგეგმილი, მაშინ კვაშნინმა რატომ მითხრა, რომ თქვენ დაკარგავთ აფხაზეთს და ცხინვალის რეგიონსო?! შეიძლება, უბრალოდ გამაფრთხილა, მიმახვედრა, რა მოჰყვებოდა ამას. მე არ ვთვლი, რომ ის, რაც კავკასიაში ხდება, არ არის რუსული სცენარი. რა თქმა უნდა, ის რაც მოხდა საქართველოში 2003 წელს, ეს იყო როგორც რუსულ-ამერიკული სცენარი.

**— ივანოვის ჩამოსვლისას და სამეულთან შეხვედრის დეტალები დღემდე გასაიდუმლოებულია. არც ერთი მხარე ამაზე არ აკეთებს განმარტებას. როგორ ფიქრობთ, რაზე შეიძლება მათ ესაუბრათ?**

— არ ვიცი, რაზე ილაპარაკეს, მაგრამ მგონია, რომ სამივეს ინტერესი იყო, რადგან ამ შეხვედრის და მოლაპარაკების დეტალებს არ ახმოვანებენ. თუ გაახმოვანებენ, მაშინ ვნახოთ. არ ვთვლი, რომ ივანოვი მარტო რუსეთის მხრიდან იყო გამოგზავნილი. ალბათ უფრო დიდ გარიგებას ჰქონდა ადგილი.

**— დავით თევზაძე ამბობს, რომ 2003 წელს განხორციელებული ამ ზარის და ივანოვთან შეხვედრის შედეგი იყო ის, რაც მოხდა 2008 წელს ცხინვალის რეგიონში და კოდორის ხეობაში. თქვენ როგორ ფიქრობთ?..**

— ამ ყველაფერში ივანოვი უმნიშვნელო ფიგურაა, ის უბრალოდ ელჩის ფუნქციას ასრულებდა. ივანოვი ჯერ ჩამოსულიც არ იყო, ეს ზარი რომ განხორციელდა. სანამ ამ შეხვედრის მონაწილეები არ იტყვიან, რაზე შეხვდა მათ ივანოვი, რა თქმა უნდა ვთვლი, რომ ეს ყველაფერი არის ამ ზარის შედეგი. **ამ ადამიანებმა უნდა თქვან ყველაფერი, მაგრამ როგორი სათქმელია, რაში გაიცვალა საქართველო, რაში გაიცვალა ხელისუფლება!**

— მგონია, რომ რუსეთში გაიყო სამხედროებისა და პოლიტიკოსების აზრი. როგორც ჩანს, სამხედროებს უფრო ადრე უნდოდათ საქართველოში სიტუაციის მოგვარება. ჩვენ რომ გვეთქვა, თქვენი დახმარება გვჭირდება-მეთქი, ორ საათში მოგვარდებოდა ყველაფერი, მით უმეტეს, რომ მაშინ ბაზები აქ ჰყავდათ. უთანხმოება იყო სამხედროებსა და პოლიტიკოსებს შორის. ჩვენ ვიცოდით, რომ უნდა ჩამოსულიყო ივანოვი და ამ დროს რეკავს კვაშნინი და მეუბნება, რომ მაშინ თქვენ კარგავთ აფხაზეთს და ცხინვალის რეგიონსო.

**— ამის შემდეგ თქვენ მოხსენებით წარსდექით თავდაცვის მინისტრის წინაშე და ამას ესწრებოდა გიგი წერეთელი, შეგიძლიათ მისი რეაქცია გაიხსენოთ?**

— ჩემს წინ იჯდა წერეთელი და როდესაც მინისტრმა მითხრა, რომ მასთან ერთად მომეხსენებინა, ერთი კი მახსოვს — თქვა, რომ პროვოკაცია არისო.

**— ანუ რუსეთის სამხედრო ხელისუფლებას, განსხვავებით პოლიტიკური ხელმძღვანელობისგან, არ უნდოდა ამ სამეულს ჩაებარებინა ხელისუფლება?**

— ტყუილად არ ვამბობ, რომ შეთანხმება იყო დიდ ქვეყნებს შორის. **როგორც ჩანს, სამხედრო ხელისუფლებას სააკაშვილზე მეტი ინფორმაცია ჰქონდა როგორც პოლიტიკოსზე და როგორც პიროვნებაზე, ვიდრე იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც შეიძლება მხარს უჭერდნენ და ახლაც მხარს უჭერენ სააკაშვილს.**

**— რაში გამოიხატება მხარდაჭერა? სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში მოახდინა რუსეთმა ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაცია...**

— მე ასე არ ვთვლი. ეს იყო ტერიტორიების გადაბარება.

**— ძალაუფლების სანაცვლოდ?**

— ალბათ... გაიხსენეთ 2004-2007-2008 წლები. 2004 წლის 4 იანვარს აირჩიეს პრეზიდენტად, მაისში მან დაიწყო პირველი შეტაკება ცხინვალის რეგიონში, შეგვიყვანეს და რატომღაც უკან გამოგვიყვანეს. 2008 წლის 5 იანვარს აირჩიეს პრეზიდენტად და აგვისტოში იგივე ხდება. სააკაშვილი ძლიერი პოლიტიკოსია და ნუთუ ის ვერ ხვდებოდა, რა მოჰყვებოდა მის ამ ქმედებებს? რა თქმა უნდა, ხვდებოდა, მაგრამ მან ეს გააკეთა. რატომ გააკეთა? იმიტომ, რომ ტერიტორიები გადასცა.

**— როდესაც საუბრობთ, რომ სააკაშვილმა იცოდა ყველაფერი, ნინო ბურჯანაძეც, რომელიც ასევე ამ შეხვედრის მონაწილე იყო, არ ფიქრობთ, რომ მან იცოდა ეს ყველაფერი?**

— არ მგონია, რომ ყველაფერი იცოდა. რა თქმა უნდა, ნინო ბურჯანაძეს ბევრ კითხვაზე აქვს პასუხი გასაცემი და ჩვენი ინტერვიუს შემდეგ კითხვები მის მიმართ მატულობს, მაგრამ მას არ ვთვლი იმ ფიგურად, რომელსაც შეეძლო რამე გადაწყვეტილება მიეღო.

**— თქვენი შეფასებით ეს იყო ღალატი?**

— მე არ მინდა ვიმოქმედო იმ პრინციპით, რა პრინციპითაც მოქმედებდა წინა მთავრობა. რომან დუმბაძე, რომელსაც სამშობლოსთვის არასოდეს უღალატია, მოღალატედ გამოაცხადეს. ამიტომ, ვერ გეტყვით, ეს ღალატი არის თუ არა. ამას კვალიფიკაცია შესაბამისმა სტრუქტურებმა უნდა მისცენ.

**თამთა ქარჩავა**

## გადარჩენა

# სვანეთის ნისლი

**იმ დღეს** საშინლად წვიმდა მესტიაში. ილო გაბლიანის სახლის ღია აივანზე მწკრივად ვისხედით მასპინძლები და სტუმრები. სტუმართა შორის იყვნენ ცნობილი გერმანელი მთამსვლელი ბატონი შუმანი მეუღლითურთ და ორი მისი მეგობარი.

ძლიერი წვიმის ხმა ეზოს გადაღმა აზვირთებული მდინარის ხმას ერთვოდა და ერთდროულად განიცდებოდა შიშისმომგვრელ სტიქიურ და, ამასთანავე, დიდებულ ძალად. შევამჩნიე, რომ ბატონი შუმანი ხანგამოშვებით დგებოდა, აღებდა პირს, ღრმად ისუნთქავდა ჰაერს, შლიდა ხელებს, ჯდებოდა და კვლავ დგებოდა. პირდაპირ, ტყით დაბურული მთა ნისლში იყო გახვეული და ნისლი ყოველ წუთს იცვლიდა ფერს: შავი გადადიოდა ნაცრისფერში, ფერმკრთალდებოდა, ღებულობდა რძის ფერს, შემდეგ ვარდისფერდებოდა და წითელი ხდებოდა, წითელი მუქდებოდა, შავდებოდა და ყველაფერი ისევ მეორდებოდა...

წვიმა თითქმის ერთ საათს გაგრძელდა, გაგრძელდა ნისლის ფერისცვალებაც, ბოლოს წვიმა შეწყდა და ზურმუხტისფერი ტყე ვარდისფერი ნისლის გრძელი ბაბთით დაგვენახა ფოთლებზე შეუმშრალი წვიმის მოციმციმე ცრემლების უთვალავი სამკაულით გაპრანჭული.

„Das ist ausgezeichtnet“ („დიდებულია“) წამოიძახა ბატონმა შუმანმა, წამოიძახეს მისმა მეგობრებმაც. მართლაც ბრწყინვალე, დიდებული სანახაობა გახლდათ.

ეს ის შუმანია, რომელიც უშბის ერთ-ერთი კალთიდან ჩამოვარდა, ასეული მეტრი იფრინა; სვანებმა, თუ შეიძლება ითქვას, „აკრიფეს“ თოვლის საფარიდან. დიდი ხნის მკურნალობის შემდეგ საავადმყოფოდან გამოსულს უთქვამს: „მე სვანეთის ნისლმა გადამარჩინაო“.

ნისლთან დაკავშირებით ვაჟას სიტყვები გამახსენდა:

**„ნისლი ფიქრია მთებისა,**
**იმის კაცობის გვირგვინი“.**

**ლონდა მდივანი**

## ალიან-ჩალიანი

### საბავშვო ბაღებში ორშაბათი დასვენების დღედ გამოცხადდა

**საპრეზიდენტო არჩევნების გამო, თბილისის საბავშვო ბაღებში ორშაბათი, 28 ოქტომბერი დასვენების დღედ გამოცხადდა. როგორც ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელმა რამაზ სულამანიძემ განაცხადა, თბილისის საბავშვო ბაღების 99%-ში საარჩევნო უბნებია გახსნილი. მისივე თქმით, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შენობებს დასუფთავება, ვირუსებისგან დეზინფექცია ესაჭიროება, რის გამოც, თბილისის საბავშვო ბაღებში ორშაბათს, სანიტარული დღე გამოცხადდა.**



**რამაზ სულამანიძის ინფორმაციით, საბავშვო ბაღები მუშაობას ჩვეულ რეჟიმში 29 ოქტომბრიდან განაგრძობს.**

**ინტერპრესი**

№206. შაბათი, 26 ოქტომბერი, 2013 წელი.





# გზა — თიანეთი-ჟინვალის მიმართულებით

**ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ სახელწოდება თიანეთი ორი მნიშვნელობით იხმარება: იგი, ერთ შემთხვევაში, აღნიშნავს გეოგრაფიულ მხარეს, მეორე შემთხვევაში — დასახლებულ პუნქტს. დაბა ტყიანი გორებით შემოსაზღვრულ მხარეში მდებარეობს, ამიტომ თავიდან „მთიანეთი“ ერქვა, დროთა ვითარებაში ასო „მ“ დაიკარგა და მივიღეთ ტოპონიმი „თიანეთი“.**

ერწო-თიანეთი მთაგორიანი რეგიონია და სწორედ ეს გეოგრაფიული გარემო უნდა ჩაითვალოს იმის წინაპირობად, რომ აქ ადამიანთა საზოგადოების ისტორია შორეული წარსულიდან იწყება. ისტორიულ წყაროებში აღნიშნულია, რომ „ვახტანგ გორგასალი თავისი სპით მიადგა თიანეთს“; „ბაგრატ მეფე დადგა მთიანეთს“; „ბაგრატ IV გარდავიდა მთიანეთს“, „თეიმურაზ პირველი იდგა მთიანეთს“...

თიანეთი უძველესი და დიდი ისტორიის მქონე მუნიციპალიტეტი რომ არის, ამას ივრის ხეობაში არსებული საეკლესიო ხუროთმოძღვრული ძეგლებიც მოწმობენ.

ლაშა-გიორგის პერიოდშია აგებული ბოდავ-ფუძნარის შესანიშნავი არქიტექტურული საეკლესიო ნაგებობა, რომელიც თავისი არქიტექტურული სტილით და მონუმენტურობით მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს.

დაახლოებით X საუკუნეში კახეთის სამთავრობო ცენტრი ჯერ ბოჭორმაში, ხოლო XI საუკუნის დასაწყისში თიანეთში გადანაცვლდა, როცა ქართლის მეფე ბაგრატ IV კახეთის შემოერთებისთვის ბრძოლისას თიანეთში გადავიდა, მან დაწვა „დარბაზი ბოდოჯისა“ — კახეთის მეფის კვირიკეს სასახლე (ეს დარბაზი სამეფო რეზიდენციად ითვლებოდა, რომელიც დღევანდელ ცხრაკარას ადგილას ყოფილა აგებული). როცა ბოდოჯის დარბაზი დაიწვა, კახეთის ადმინისტრაციულმა ცენტრმა თელავში გადაინაცვლა. აღნიშნული ტოპონიმი გაქრა, ხოლო კუთხის პოლიტიკურმა ცენტრმა მთელი სანახების —„(მ)თიანეთის“ სახელი დაიმკვიდრა.

2003 წლის 18 აგვისტოს ურბნისის საკათედრო ტაძარში ჩატარებულ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის კრებაზე წილკნისა და ალავერდის ეპარქიათა და ტერიტორიების საფუძველზე დაარსდა თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქია. ეპარქიის ამგვარი სახელწოდება— „თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის“ — არ გვხვდება საქართველოს საეკლესიო წარსულიდან, თუმცა, იგი არსით საუკუნეთა წინათ გაუქმებული „ჟალეთის“, შემდეგ კი ძველი „ხარჭაშოს“ ეპარქიის განახლებას ნიშნავს (ხარჭაშოს ეპისკოპოსი „ხარჭაშნელად“ იწოდება).

დღეს თიანეთის მუნიციპალიტეტი ტერიტორიის სიდიდის მიხედვით საქართველოს ერთ-ერთი მსხვილი რაიონია, სადაც სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია მესაქონლეობა და მეცხვარეობა, მოჰყავთ ტექნიკური კულტურებიც.

უგზოობის გამო გართულებულია სატრანსპორტო კავშირი დედაქალაქთან და მეზობელ რაიონულ ცენტრებთან, გაძნელებულია ადგილზე დამზადებული ეკოლოგიურად სუფთა საკვები პროდუქტების რეალიზაციის საკითხიც.

ამის გამოც დგას ასე მწვავედ მოსახლეობის ადგილზე დამკვიდრებისა და დემოგრაფიული განვითარების პრობლემებიც.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 მარტის 255-ე განკარგულებით გადაწყდა თიანეთი-ზარიძეები-ჟინვალის 22-კილომეტრიანი გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოების განხორციელება. დაიგეგმა, რომ აღნიშნული გზის დაპროექტება-მშენებლობის სამუშაოები განხორციელებულიყო ეტაპებად.

ჯერ გამოცხადდა ტენდერი 9-კმ-იან მონაკვეთზე (კმ I—კმ 9), რომლის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია შეიმუშავა შპს „საქგზამეცნიერებამ“ (გენერალური დირექტორი — თ.შილაკაძე), ხოლო მშენებლობას აწარმოებს შპს „კომპანია ბლექ-სი გრუპი“ (უფროსი — ა.მამუჩაძე).

შპს „საქგზამეცნიერების“ მიერ დამუშავებული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თიანეთი-ზარიძეები-ჟინვალის საავტომობილო გზის თიანეთი-ზარიძეების (კმI-კმ 9) მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების მუშა პროექტი ძირითადად ითვალისწინებდა შემდეგი სახეობისა და მოცულობის სამუშაოთა განხორციელებას.

მოსამზადებელი სამუშაოები; მიწის სამუშაოები — 523420 მ3; აენაკრები ბეტონის კიუვეტების მოწყობა— 1880 გრძ.მ; მრგვალი და ოთხკუთხა რკინა-ბეტონის მილების მოწყობა — 11 ც; სახიდე გადასასვლელის მოწყობა პკ 16-28-ზე, პკ 34X72.5-ზე და პკ 57X59.5-ზე — 3 ც; საგზაო სამოსის მოწყობა ორფენიანი ასფალტ-ბეტონის საფარით — 9კმ; გზის კეთილმოწყობის სამუშაოები.

სამშენებლო ორგანიზაციამ ორგანიზებულად და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით დაიწყო სარეაბილიტაციო მონაკვეთის (კმI-კმ9) სამუშაოთა განხორციელება, შემჭიდროებულ ვადებში გადაისროლა თიანეთის მუნიციპალიტეტში საჭირო მანქანა-მექანიზმები, მოაწყო მძლავრი საკარიერო მეურნეობა, ადგილზე დაამონტაჟა დიდი წარმადობის მობილური ასფალტ-ბეტონის ქარხანა, დანერგა რამდენიმე ტექნიკური სიახლე, კერძოდ, მოაწყო სპეციალური სამშენებლო მოედანი საჭირო სიგრძისა და დიამეტრის გოფრირებული წყალგამტარი მილების დასამზადებლად, ახლებურად მიუდგა სანიაღვრე სისტემების მოწყობის საქმეს, შემოიტანა ახალი ანაკრები კონსტრუქციები სახიდე გადასასვლელების მილით ნაშენის მოსაწყობად. ყველა ღონისძიება მიმართული იყო იქითკენ, რომ რაც შეიძლება შემჭიდროებულ ვადებში განეხორციელებინა სამშენებლო სამუშაოები და დაეცვა მშენებლობის მაღალი ხარისხი.

დღეს 9 კმ-იანი მონაკვეთიდან 6 კმ დამთავრებულია და მშენებლები პირობას იძლევიან, რომ წლის ბოლომდე საპროექტო გზის პირველი მონაკვეთი (კმI-კმ 9) მთლიანად დამთავრდება და გადაეცემა დამკვეთს.

პირველი მონაკვეთის მშენებლობის პარალელურად გამოცხადდა ტენდერი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის თიანეთი-ზარიძეები-ჟინვალის მე-2 ლოტის (კმ10-კმ23 მონაკვეთის) სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების საპროექტო მომსახურებაზე.

აღნიშნული ლოტის საპროექტო სამუშაოებსაც ასევე შპს „საქგზამეცნიერება“ ასრულებს. იგი უკვე მთავრდება და წლეულსვე გადაეცემა დამკვეთს.

უნდა აღინიშნოს, რომ არის მოსაზრება, უახლოეს პერსპექტივაში განხორციელდეს ახმეტა-თიანეთის საავტომობილო გზის რეკონსტრუქციის საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები. ახმეტა-თიანეთი-ზარიძეები-ჟინვალის საავტომობილო გზის მშენებლობის დასრულების შემდეგ მასზე მოსალოდნელია მოძრაობის ინტენსიურობის მკვეთრი ზრდა. ეს განპირობებული იქნება კახეთის რეგიონიდან (ახმეტა, თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი) და მეზობელი აზერბაიჯანიდან შემოსული სატრანზიტო მოძრაობის აღნიშნულ მიმართულებაზე გადართვით, რათა ამის მსურველები უმოკლესი გზით მოხვდნენ საქართველოს სამხედრო გზაზე და განაგრძონ მოძრაობა რუსეთის ფედერაციისკენ.

საკითხის ასეთ გადაწყვეტას უდიდესი მნიშვნელობა ექნება თიანეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისთვის, ვინაიდან ის უპრობლემოდ დაუკავშირდება როგორც კახეთს, ისე საქართველოს სხვა რეგიონებს და სხვა ქვეყნების ბაზარზე გასვლის შესაძლებლობაც მიეცემა. კეთილმოწყობილი და კომფორტული საგზაო ინფრასტრუქტურა ხელს შეუწყობს მოსახლეობის ადგილზე დამკვიდრების და მჭიდრო კავშირს როგორც თბილისთან, ისე საქართველოს სხვა ქალაქებთან, სადაც დღეს თიანეთის მკვიდრი მოსახლეობა საქმიანობს. მათ გაუადვილდებათ მიმოსვლა თავიანთ მშობლიურ მუნიციპალიტეტთან, რითაც მოსახლეობის ნაწილს გაუჩნდება უკან დაბრუნების, ნაწილს კი — ფერმერულ საქმიანობაში ჩართვის პერსპექტივა, რაც გააადვილებს ადგილზე წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას...

**თამაზ შილაკაძე,**
**„საქგზამეცნიერების“ გენერალური დირექტორი, ტრანსპორტის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი.**

**„სრ“ რედაქციისგან: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, რომელიც ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ითვალისწინებს ამ გზის დიდ მნიშვნელობას, კვლავაც მიადევნებს თვალ-ყურს მის მშენებლობას და დაინტერესებულ მკითხველს პერიოდულად მიაწვდის სათანადო ინფორმაციას.**





ქართული გენი

# „სულის სანთლები“

...მოდით, დამხედეთ,
გარდაცვლილმა როგორ ვიბრძოლე,
ნუ შეგაშინებთ თალხისფერი
ჩემი სხეული,
მე არ მომკვდარვარ,
მხოლოდ ვიცოცხლე,
ამაოებით არ მივსია
სულის რვეული...“

წერს დათა გულუა ერთ-ერთ ლექსში და, მართლაც, მისი „სულის რვეული“ საოცარი ფერებით, ტკივილებითა და მისტიკური ხილვებითაა სავსე...

ის 18 წლისა ტრაგიკულად დაიღუპა და, მიუხედავად თავისი ასაკისა, დაგვიტოვა უმშვენიერესი ლექსები, რომლებსაც ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ქმნიდა; ის რეალური და ირიალური სამყაროს საზღვარზე მდგარი კოსმოსურ ხმებსა და ბგერებს აყურადებდა და ფილოსოფიური განსჯით ცდილობდა საკუთარი თავის და ადამიანის რაობის შეცნობას; ის იყო ნაადრევად დაბრძენებული ბავშვი, რომელიც ესწრაფვოდა ბევრის მოსწრებას, ყველა კითხვაზე პასუხის გაცემას, „დანგრეული, იდუმალი სივრცის“ აღქმას და გათავისებას.

**„ცხოვრება ყვავილივითაა, მისგან სასარგებლო, საამო ნექტარი კი არ ჟონავს, შენ თვითონ უნდა მიაგნო და ამოსწოვო. სწორედ ამ პროცესში ყალიბდები სულიერ არსებად – ადამიანად. გონების ღრმულებში აღმოცენებული ჩემი პოეზია თქვენს სულებამდე ჩაღწევას ცდილობს და არა – ნაჩუქარი აპლოდისმენტების მიღებას.**

**გიყვარდეთ ერთმანეთის სულები და გაუფრთხილდით მათ ისე, როგორც უფრთხილდებით თქვენს სხეულს. სულს თავისი სისხლი გააჩნია და, თუ მისგან დაიცალა ადამიანი, უმალვე ლეშად გადაიქცევა, ლეში კი ყარს. გახსოვდეთ, თქვენი თაფლნარევი შხამი, შესაძლოა, თქვენს გვერდით მყოფს სულის სისხლს უწამლავდეს... დაფიქრდით ამაზე, ნუ გაიმეტებთ ადამიანებს ასე, დაინდეთ!..**

**დავუნთოთ ერთმანეთს სულებში სანთლები“**, – წერდა 17 წლის დათა გულუა თანატოლებისადმი გაგზავნილ წერილში.

მან თავისი ლექსებით, არა მარტო თანატოლებს, არამედ ყველას „სულებში სანთლები“ დაგვინთო და ეს არის მისი უკვდავებაც!..

აქვე შემოგთავაზებთ ათი წლის წინათ დაწერილ ლექსს...

## განშორება

**დათა გულუას ხსოვნას**

...შენთვის ჯერ კიდევ შორია ცამდე
და გამგზავრება გადადე, გიჯოგს,
გემუდარები, ჯერ არ აჩქარდე,
დაგრძენებულო, პატარა ბიჭო...

შავად მოსილი ჩანს ნარიყალა,
შესუდრულია კოჯრის ქედებიც;
სადაც გსურს წადი, ოღონდ იქ არა,
მაგ მგზავრობისთვის არ მემეტები...

სხვა სამყაროსთვის ვერაფრით ვერ გთმობ
და განშორება ძალიან მიჭირს;
შენ დაიფარე, მაღალო ღმერთო,
ცის კიბეებზე შემდგარი ბიჭი...

**ბადათერ არაბული,**
2003 წლის 27 ოქტომბერი

# „მე სისპეტაკით ვარ დათოვლილი“



**რომ მცნობოდა, მე ის ღვიძლი ძმისწულივით უნდა მიმეღო, რადგან ლამის ყველაფერი და ყოველივე ვუწყოდი მის წმინდა კოლხურ ფესვებზე და იმ ტკივილზე, რასაც მისი არცთუ შორეული წინაპრები ატარებდნენ!..**

**რომ მცნობოდა, უკვე იმთავითვე ვიამაყებდი მისით!..**

**რომ მცნობოდა, აუცილებლად ვეტყოდი სიკვდილთან თამაშის სახიფათობაზე!**

**მაგრამ ვაი რომ, ეს შესაძლებლობა 2003 წლის 27 ოქტომბერს უმოწყალოდ, უღვთოდ გაისხიპა.**

**იმ ავადსახსენებელ დღეს შეწყდა უნიჭიერესი ყმაწვილის დათა ბაკურის ძე გულუას გულისა და სულის ბორგვა.**

ჩვენმა საზოგადოებამ, დათა გულუას თანატოლებმა იმავე წლის იმავე ოქტომბრის დასაწყისში დააჭაშნიკეს მომავალი იურისტისა და პოეზიაში ახალ ფეხშედგმული ჭაბუკის ლექსები.

ეს დებიუტი შედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმ აუდიტორიაში, რომელიც კარგა ხანია დათა გულუას სახელობისაა და რომელიც რამდენიმე დღის წინათ კიდევ ერთხელ გადაივსო მისი პოეზიის დამფასებლებით და იმ ადამიანებით, რომელთა გულზეც აღიბეჭდა დათას სახიერება.

იქ, დათას აუდიტორიაში, კიდევ ერთხელ გავიზიარეთ ჭაბუკი პოეტის სულიერება, მისი ტკივილებით ნაკაწრი სტრიქონები. სავსებით სწორად შენიშნა რატი ამაღლობელმა, რომ დათა გულუას პოეზიის რაციონალიზაცია შეუძლებელია. იგი უნდა მიიღო ისეთი, როგორიც არის და თუ შეგიძლია, მისნაირმა ტკივილგანცდილმა უნდა იბორიალო მის პოეტურ სამყაროში. იმ საღამოზე აქა-იქ ვთქვი კიდეც, დათა გულუას ფიზიკური არარსებობიდან გასული პირველი ათი წელი წიგნიერ საზოგადოებას მის შეცნობა-გაცნობიერებაში შემოელია, მეორე ათი წელი მეტად აღიარებისა იქნება, იქით და იქით უფრო მოიმატებს და ასე გაუმრავლდება დათა გულუას პოეზიის მრევლი და დამფასებელი.

...ნახეთ, როგორ მიმართავს თავის თაობას 17 წლის შემოქმედი ესეში – „წერილი თანატოლებს“: **„ცხოვრება ყვავილივითაა, მისგან სასარგებლო, საამო ნექტარი კი არ ჟონავს, შენ თვითონ უნდა მიაგნო და ამოსწოვო. სწორედ ამ პროცესში ყალიბდები სულიერ არსებად – ადამიანად, გონების ღრმულებში აღმოცენებული ჩემი პოეზია ჩვენს სულებამდე ჩაღწევას ცდილობს და არა – ნაჩუქარი აპლოდისმენტების მიღებას“.**

იმედია, დამეთანხმებით, 17 წლის ბიჭებს სულ სხვა გრძნობა-განცდა უბურღავთ გულ-გონებას. ამ ასაკში სულის წვრთნაზე იშვიათებიღა ფიქრობენ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არც დათასთვის იყო ეს ასაკისეული წვა-დაგვა უცხო. როგორი ზნეკეთილი და დიადი სული უნდა გქონდეს, რომ ასე ლამაზად თქვა:

**„მკლავს მიჭედილი მაქვს შენი ოხვრა,**
**თითქოს თლილი ხარ თვითონ როდენის,**
**მე სისპეტაკით ვარ დათოვლილი,**
**ქალის ცრემლის მაქვს მხარზე ორდენი“.**

დიახ, ასე რაინდულად, ასე პოეტურად და არა ისე „პახაბნად“, როგორც ამას ე. წ. დღევანდელი ლიბერასტი მოპოეტო ელემენტები ცდილობენ, როცა ეს მითაჟამინდელი განცდა შიშველ ნატურალიზმამდე დაჰყავთ.

ყურადღებით თუ ჩავუკვირდებით, დათა გულუას პოეტურ შფოთსა და წუხილში მისი თაობის მხრების სატვირთველი თემების რკალიც მოსჩანს. წინასწარმეტყველურად შენიშნავს ერთგან სოდომ-გომორის ცოდვათა კალოს გაბევრებაზე.

**„ხვალ? ხვალ კვლავ გადიძრობს მთვარე ღამის პერანგს და მზედ გადაიქცევა; ახალი ბრძოლის ველი გაიშლება ჩვენს წინაშე. ოღონდ იმავე ჯარისკაცებით დაკომპლექტებული... გენერლები გვერდში გვიდგანან, მაგრამ ხვალ ისინი რომ უნდა შევცვალოთ?“**, – წერს დათა.

თაობის საწუხარს 17 წლის ასაკშიც გრძნობენ დიდი პოეტები. სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე მირზა გელოვანის გარდა სხვა პოეტი არ მეგულება ასე ეთქვას:

**„მე 20 წლის ბიჭი ვარ და საუკუნე მომაქვს მხრებით!“**

რომ არა ჟამის სიმუხთლე, ვინ იცის, როგორ საგენერლო საქმეებს ითავებდა დათა გულუა როგორც პოეზიაში, ისე სამოქალაქო საზოგადოების წიაღში.

და ბოლოს ერთი პასაჟიც, რომელზე საუბარიც უბრალოდ აუცილებელია.

დათა გულუამ, როგორც ლიტერატურისმცოდნეები შენიშნავენ, სამყაროს, კოსმოსის ორომტრიალი წარმოაჩინა. თუმცა არავინ ამბობს, რომ მისმა ლაღმა პოეტურმა სულმა სწორედ აქ დაუშვა საბედისწერო შეცდომა, როცა პოეტური მიგნებებით სწორედაც სამყაროს ორომტრიალის ყველაზე ამოუცნობი ფენომენი – სიკვდილი გამოიხმო.

**„მე მინდა, დილით მზე რომ შხიოდეს,**
**ჩქარა! დაიწვას ყოფის ფოთოლი,**
**მე ვყიდი ბილეთს საიქიომდე**
**და მეთვრამეტედ მქვია სიკვდილი“.**

უდროოდ დაღუპული მეგობრის გოჩიკო ხუნდაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ლექსში ასე წერს:

**„და გამასწარი მაინც ამ გზაზე,**
**შენი მფრინავი სპეტაკი რაშით,**
**ბერუბიმები შენ გცნობდნენ ხმაში**
**და გაგაცილეთ ცრემლების ტაშით“.**

წინასწარმეტყველურად დაინახა ის უსახელო ქუჩა, სადაც მის პროცესიას უნდა გაევლო.

**„და მე მაცილებენ ღამის მირაჟები**
**ქუჩაზე, რომელსაც არა აქვს სახელი“.**

სხვა სტრიქონების მოხმობაც შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობ, საკმარისია: დათა გულუა იმ მარადჭაბუკ შემოქმედთა სავანეს შეუერთდა, ვისზედაც დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინათ ნიკა აგიაშვილმა მშვენიერი წიგნი დაგვიწერა – „ჭაბუკები დარჩნენ მარად“.

**გიგლა გოგუაძე**

***რედაქციისგან:** ხვალ, 27 ოქტომბერს ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრში გაიმართება დათა გულუას ხსოვნის საღამო (დასაწყისი 17 სთ-ზე).*

ალიან-ჩალიანი

### ამოიღებულია იარაღი

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, ხონის რაიონის სოფელ ახალშენში ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს.

ტრისტან ო-ს საცხოვრებელ სახლიში რევოლვერის ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი და 5 საბრძოლო ვაზნა უკანონოდ ჰქონდა შენახული.

ექსპერტიზის დასკვნით ამოღებული იარაღი სასროლად ვარგისია.

* * *

საბაჟო გამშვები პუნქტის, „სარფის“, კონტროლის ზონაში თურქეთიდან შემოსული თურქეთის მოქალაქის, ე.ბ.-ის კუთვნილი მანქანის დათვალიერებისას, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს ცეცხლსასროლი იარაღი, ერთი მჭიდითა და 2 ცალი ვაზნით.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საქმე შემდგომი რეაგირებისთვის შსს აჭარის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოს გადაეცა.

### საგზაო წესების დარღვევისათვის დაწესებული ჯარიმები გადაიხედება

შსს-ს განმარტებით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში საგზაო ნიშნების შემოღებამ და გზების მონაკვეთებში მაქსიმალური სიჩქარის განსაზღვრამ უზრუნველყო ის, რომ ავტოსაგზაო შემთხვევებში გარდაცვლილთა რაოდენობა 60%-ით შემცირდა.

„შეგახსენებთ, რომ შსს-ს მიერ უკვე ინიცირებულია პარლამენტში „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შესატანი ცვლილებების პროექტი, რომლის ერთ-ერთი პუნქტია ჯარიმის განახევრება 100-დან 50 ლარამდე უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთის შემთხვევაში. აღნიშნულ ინიციატივაში, რაც წარდგენილია პარლამენტში, უარი ითქვა ნასვამ მდგომარეობაში ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის გამო დაჯარიმებაზე და ფულადი ჯარიმის ნაცვლად შემოდის მართვის უფლების შეჩერების ინსტიტუტი. როგორც ეს, ასევე სხვა ცვლილებებიც დაკავშირებულია არა ფისკალურ ეფექტთან და ბიუჯეტში თანხების მობილიზებასთან, არამედ თითოეული ადამიანის, მათ შორის სამართალდამრღვევის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვასთან.

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს სიჩქარის გადაჭარბებისთვის დაწესებულ 100-ლარიან ჯარიმასთან დაკავშირებით საჯარო განცხადებისა და გადაწყვეტილების არგუმენტირებას სთხოვს.

— ვთხოვ ღარიბაშვილს, მოვიდეს ტელევიზიით და გააკეთოს განმარტებები. მახსოვს, მთავრობის სხდომაზე ამ საკითხზე ბევრი პოლემიკა გვქონდა, კარგი იქნება თუ დისკუსია გაიმართება საზოგადოებაშიც. მე მოვითხოვ პოლემიკას და არგუმენტებს. ძალიან ბევრი მძღოლი გაჭირვებულია. კარგია, რომ იცოდეს მოსახლეობამ, რატომ კეთდება ეს, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

### შსს-მ ნარკოდანაშაულისათვის ერთი პირი დააკავა

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ღონისძიების შედეგად, 1986 წელს დაბადებული გივი ვ. ნარკოდანაშაულის ბრალდებით ბათუმში, ახალსოფლის დასახლებაში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება უკანონოდ შემოიტანა.

ექსპერტიზის დასკვნით ამოღებულია 2,6 გრ „ჰეროინი“.

ნარკოლოგიურმა შემოწმებამ დაადგინა, რომ დაკავებისას გივი ვ. ნარკოტიკული საშუალება „ოპიუმის“ და „მარიხუანას“ ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

ინტერპრესი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოში ფსონს ფავორიტზე სდებენ

## ბუკმეკერები პრეზიდენტის არჩევნებში მარგველაშვილის გამარჯვებაში დარწმუნებული არიან

**თბილისში პოპულარული ტოტალიზატორი „ევროპაბეთი“ პირველად საქართველოში იღებს ფსონებს პრეზიდენტის არჩევნების შედეგებზე. ბუკმეკერების აშკარა ფავორიტი — მმართველი კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატი გიორგი მარგველაშვილია.**

ფსონის ჩასვლა შეიძლება კომპანიის ქსელის მეშვეობითაც. ბუკმეკერების აზრით, გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი აქვს გიორგი მარგველაშვილს. შესაძლო მოგება ფსონის სულ რაღაც 10 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილზეა — საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერი, პრეზიდენტის პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი დავით ბაქრაძე კოეფიციენტით 7,00. მესამე ადგილზეა — პარლამენტის ექსსპიკერი, პარტია „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ დამფუძნებელი ნინო ბურჯანაძე. მისი კოეფიციენტი ბუკმეკერებმა 10,00 შეაფასეს.

თუ დავით ბაქრაძის შტაბში ამგვარ ახალ ამბებს მშვიდად შეხვდნენ და უპირატესობას ანიჭებენ საერთოდ არ გაუკეთონ კომენტარები ბუკმეკერების ფსონებს, ნინო ბურჯანაძის გარემოცვაში ტოტალიზატორს მიიჩნევენ „თამაშის ნაწილად ცრუ შთაბეჭდილების შექმნისთვის არჩევნების წინ“. „სინამდვილეში, ნინო ბურჯანაძის რეიტინგი გაცილებით მეტია სააკაშვილის კაცზე, მაგრამ ვიღაცას „ქართულ ოცნებაში“ სურს, რომ სხვაგვარად იყოს ყველაფერი“, — აგვიხსნეს ნინო ბურჯანაძის წინასაარჩევნო შტაბში.



Коммерсантъ

**საქართველოში მთავრდება, ალბათ, ყველაზე არაჩვეულებრივი საარჩევნო კამპანია მის ისტორიაში. 27 ოქტომბერს ქვეყანაში გაიმართება პრეზიდენტის არჩევნები, რომელიც ოფიციალურად დაასრულებს მიხეილ სააკაშვილის ეპოქას.** ამავე დროს მისმა მთავარმა მოწინააღმდეგემაც, მილიარდერმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმაც განაცხადა პოლიტიკიდან წასვლის შესახებ. პირველად დამოუკიდებლობის წლების განმავლობაში ქართველები აირჩევენ ახალ პრეზიდენტს იმ კანდიდატებიდან, რომელთაგანაც არც ერთი არ აცხადებს პრეტენზიას ერის მამის როლზე.

### „სისხლისმსმელი ხალხი“

**მთავარი საკითხი რასაც დღეს თბილისში განიხილავენ, არის ის, ჩასვამენ თუ არა არჩევნების შემდეგ ციხეში მიხეილ სააკაშვილს.**

**„გაოცებული ვარ, რამდენად სისხლისმსმელია ჩემი ხალხი,** — აღიარა ჩვენთან საუბარში პოპულარულმა ქართველმა ტელეჟურნალისტმა, რომელიც თავიდანვე მხარს უჭერდა მიხეილ სააკაშვილს და, ბევრი თავისი კოლეგისგან განსხვავებით, კვლავ უჭერს მას მხარს. **— შეხედეთ, რამდენი რამ გააკეთა მიშამ ამ ათი წლის განმავლობაში, როგორ გარდაქმნა ქვეყანა. ახლა კი მადლობის მაგიერ იგი ეზიზღებათ, თითქოს ის მკვლელი ან სახელმწიფო დამნაშავე იყოს. სამწუხაროდ, არჩევნებზე ეს ზიზღი გამომჟღავნდება. მიშამ ხელისუფლება ერთი წლის წინ დაკარგა, წელიწადი კი — ძალიან პატარა ვადაა საქართველოსთვის. ერთი წლის განმავლობაში ქართველები არ ივიწყებენ წყენას — ივიწყებენ ორი წლის განმავლობაში“.**

წყენას არ მალავს ირაკლი, ქართველი მეწარმე, რომელმაც მიხეილ სააკაშვილის დროს დაკარგა თავისი ბიზნესის ნახევარი და ლამის ციხეში არ აღმოჩნდა ერთ-ერთ ოპოზიციონერთან ნათესაობის გამო: **„მიშა იყო დიქტატორი. მან წაგვართვა თავისუფლება. ქართველები კი — თავისუფლებისმოყვარე ხალხია, ისინი ასეთ რამეს არ პატიობენ. ხალხს ეშინოდა ტელეფონით საუბრისა: ყველა ხაზსს უსმენდნენ. ეშინოდათ ტაქსიში საუბრისაც: ცნობილი იყო, რომ ბევრი მძღოლი სპეცსამსახურების მიერ იყო დაქირავებული, ჯაშუშობდნენ და წერდნენ დასმენებს. დაბოლოს, ეს წამებანი ციხეებში, გაუპატიურებანი. ფიქრობთ, მიშა არ იყო საქმის კურსში? ვერასოდეს დავიჯერებ. და მან ამისთვის პასუხი უნდა აგოს“.**

მიუხედავად მიხეილ სააკაშვილისადმი თავშეკავებული დამოკიდებულებისა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციისა და ევროკავშირის საკვანძო ქვეყნების მხრიდან, დასავლეთი, ჩვენი მონაცემებით, კატეგორიულად წინააღმდეგია მისი დაპატიმრებისა.

— ეს პოზიცია არაერგზის ვაცნობეთ პრემიერ ივანიშვილს, — მიდასტურებს ჩემი თანამოსაუბრე.

— და რა რეაგირებას ახდენს იგი?

— ის დუმს.

### „ქართველი დენ სიაოპინი“

**საქართველოს მთავრობის მეთაურსა და მიმავალ პრეზიდენტს შორის აშკარა მტრობაა. მაგრამ სწორედ პრემიერის პოზიციაზეა დამოკიდებული „ვარდების რევოლუციის“ ბელადის ბედი. დღევანდელ საქართველოში ბიძინა ივანიშვილი — შეუვალი ავტორიტეტია. და მისი თანამებრძოლები, აშკარაა, ყურს უგდებენ ბიძინა ივანიშვილის რეკომენდაციებს. მაშინაც კი, თუ, როგორც დაგვპირდა, გადადგება არჩევნების შემდეგ.**

ცოტას თუ სჯერა საქართველოში, რომ ქვეყნის ყველაზე მდიდარი და ყველაზე გავლენიანი ადამიანი წავა ასე, თავისით, პოლიტიკიდან. **„ბიძინას სურს, გახდეს ერთგვარი ქართველი დენ სიაოპინი. საკითხავია — რამდენად გამოუვა მას ეს. საქართველო შეეჩვია მოქმედ ბელადებს. ახლა კი გამოდის, რომ ბელადები სულაც აღარ იქნებიან. არც ახალი პრეზიდენტი, არც მომავალი პრემიერი (ვინც უნდა იყოს იგი), არც პარლამენტის თავმჯდომარე არ გამოაცხადებს პრეტენზიას ერის ლიდერის როლზე. ხელისუფლებაში მოდის პოლიტიკოსების ახალი თაობა, ჩვეულებრივები, როგორც ევროპაში, — ამბობს თბილისელი ადვოკატი ვახტანგი, რომელიც თავს „სააკაშვილის ყოფილ თაყვანისმცემელს“ უწოდებს.**

საპრეზიდენტო რბოლაში აშკარა ფავორიტი 44 წლის გიორგი მარგველაშვილია. ფილოსოფოსი, მეცნიერებათა დოქტორი, მას არ გააჩნია დიდი პოლიტიკური გამოცდილება. ხელისუფლების პარტიის ამ კანდიდატს ბევრი მიიჩნევს დამოკიდებულ ფიგურად, პრემიერის კრაეტურად. და, რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, სწორედ მისთვის აპირებენ ხმის მიცემას.

### ბრძოლა მესამე ადგილისთვის

**„მარგველაშვილს აქვს ყველა შანსი გაიმარჯვოს უკვე პირველ ტურში. ვფიქრობ, ის გაიმარჯვებს 50-დან 55 პროცენტამდე. ასე რომ, მთავარი ინტრიგაა, თუ ვინ დაიკავებს დანარჩენი ოცდაორი პრეტენდენტიდან მეორე ადგილს. იქნება ეს კანდიდატი სააკაშვილის პარტიიდან დავით ბაქრაძე, თუ პარლამენტის ყოფილი სპიკერი ნინო ბურჯანაძე, რომელსაც პრორუსულ პოლიტიკოსად მიიჩნევენ“,** — ამბობს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი.

ბევრი თავისი ამომრჩევლისგან განსხვავებით, ბერძენიშვილს არ სურს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აკრძალვა, და მზადაც კია, ითანამშრომლოს მის წევრებთან, განსაკუთრებით საგარეო-პოლიტიკურ საკითხებში. მე არ მაშინებს, თუ მეორე ადგილს ბაქრაძე დაიკავებს. ამით იგი განიმტკიცებს თავის პოზიციებს, მიიღებს შესაძლებლობას, დაიკავოს დისტანცია სააკაშვილისგან, — მსჯელობს ლევან ბერძენიშვილი, — პირველად საქართველოს ისტორიაში ხელისუფლების პარტია მიიღებს შანსს, აიტანოს თავისი შემქმნელი პრეზიდენტის წასვლა“.

მმართველი „ქართული ოცნება“ არის სადღაც შუაში რუსეთთან დაკავშირებით: არ ისწრაფვის ხელოვნურად გაამწვავოს ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასთან, როგორც ამას სააკაშვილი აკეთებდა, მაგრამ არც ეჭვქვეშ აყენებს „პროდასავლურ ვექტორს“ — კურსს ნატოსა და ევროკავშირში შესვლაზე.

რაც შეეხება „ოკუპირებული ტერიტორიების“ პრობლემას, აქ ერთიანია ყველა ქართველი პოლიტიკოსი: ადრე თუ გვიან, აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი უნდა შემოუერთდნენ საქართველოს. თანაც ჩვენი ყველა თანამოსაუბრე აღიარებდა: 2008 წლის ომის შემდეგ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დაბრუნება შორია, როგორც არასოდეს. და ამაშიც ბრალს სდებენ მიხეილ სააკაშვილს.

**„შევარდნაძეს ყოფნიდა ჭკუა, არ წამოგებულიყო ოსების პროვოკაციებზე, არ ჩართულიყო რუსეთთან კონფლიქტში. მიშა კი დარწმუნებული იყო, რომ ამერიკა მას დაეხმარებოდა. შედეგად მან ყველა გაგვყიდა. ვფიქრობ, უწინარეს ყოვლისა, მას გაასამართლებენ სწორედ აგვისტოს ომის გამო“,** — დარწმუნებულია ბიზნესმენი ირაკლი.

თვალსაჩინო აგიტაციაში კი დედაქალაქის ქუჩებში კანდიდატების დუელს ნინო ბურჯანაძე იგებს. მისცენ მას ხმა, მოუწოდებენ არა მხოლოდ ურიცხვი პლაკატები, არამედ ყოფილი სპიკერის პორტრეტებიც, რომლებითაც მორთულია ქალაქის ავტობუსები.

ამ დროს მომეჩვენა, რომ ნინო ბურჯანაძეს აქვს კარგი შანსები, დაიკავოს მეორე ადგილი. ყოველ შემთხვევაში — თბილისში.

პირველ ადგილთან დაკავშირებით კი, როგორც ჩანს, ყველაფერი ნათელია.

Коммерсантъ

# საქართველოში მცირე ბელადებს ელოდებიან

## ქვეყანა ემზადება, აირჩიოს „ჩვეულებრივი პრეზიდენტი“ და მიიღოს „ჩვეულებრივი პრემიერი“

## დედამიწის ზურგზე



**ბრაზილიამ და გერმანიამ მოუწოდეს გაეროს, ებრძოლოს აშშ-ის შპიონაჟს, ევროკავშირის სამიტმა კი დაგმო ლიდერების ტელეფონების მოსმენა**

ბრაზილიისა და გერმანიის მოქმედება კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების წინწაწევის შესახებ ინტერნეტში გახდა პირველი კონსოლიდირებული მცდელობა საერთაშორისო საზოგადოებრიობისა დაუპირისპირდეს ამერიკის ეროვნული უშიშროების სააგენტოს შეჭრას უცხოელთა ონლაინ-კომუნიკაციებში, აღნიშნავენ დიპლომატიური წყაროები.

* * *

**პუტინმა საბოლოოდ უთხრა უარი უკრაინას, შეუერთდეს საბაჟო კავშირს**



ამავე დროს რუსეთი არ აპირებს ჩაერიოს უკრაინის ევროინტეგრაციის პროცესში, განაცხადა რუსეთის ლიდერმა მინსკში პრესკონფერენციაზე, თანაც დააზუსტა, რომ მოსკოვი „არც წინააღმდეგია და არც მხარს უჭერს“. „ეს საერთოდ ჩვენი საქმე არ არის, ესაა უკრაინის ხელმძღვანელობის სუვერენული უფლება პრეზიდენტის, პარლამენტისა და მთავრობის სახით“, — თქვა მან.

* * *

**ვენესუელა ქმნის უდიდესი სახალხო ბედნიერების მიღწევის სამმართველოს**



ახალი უწყება იმუშავებს მოხუცების, ბავშვების, ინვალიდებისა და უსახლკაროთა პრობლემების გადაწყვეტაზე, როგორც ეს ახსნა ქვეყნის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა მადურომ. დამატებით, 8 დეკემბერი გამოცხადდება გო ჩავესის სიყვარულისა და ერთგულების დღედ.

* * *

**ჯონ კენედის მკვლელის ბეჭედი, რომელიც დამზადებულია სსრ კავშირში, გაიყიდა აუქციონზე**

ვაჭრობის ორგანიზატორების სიტყვებით, „არ არის არანაირი ეჭვი, რომ ბეჭედი დამზადებულია სსრ კავშირში. მასზე არის ოფიციალური სახელმწიფო მარკირება ვარსკვლავის სახით“. ამავე დროს აუქციონის ექსპერტებმა ვერ შეძლეს, დაედგინათ, თუ, კერძოდ, რომელმა ფაბრიკამ დაამზადა იგი. ლი ოსვალდმა ბეჭედი 14 კარატიანი ოქროთი მინსკში შეიძინა.





ლევან თოთაძე ქალიშვილთან ერთად

# პრეზიდენტო, შენ ჩემს სიკვდილშიც მიგიძღვის ბრალი!..

ამ რამდენიმე ხნის წინათ ვწერდი: სანამ ჩვენს გაძვალტყავებულ ქვეყანაში თითქმის ყოველდღე ეწყობა უფასო, მაგრამ გრანდიოზული კონცერტები ერთი კაცის ხუშტურის გამო, რისთვისაც ათეული მილიონობით ლარი იხარჯებოდა წელიწადში, სანამ დღე ისე არ გაივლის, ტელევიზიით მძიმედ დაავადებულ ბავშვთათვის დახმარება არ ითხოვონ, მაშინ, როდესაც ერთი კონცერტის ხარჯები მთლიანად მოხსნის ამ პრობლემას წლის განმავლობაში, მანამდე ერის სულიერ კრიზისს არაფერი ეშველება.

მაშინ რა ვიცოდი, რომ მალე მეც ასეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი და საშველი არსაიდან იქნებოდა.

2009 წლის ოქტომბერში ვაჟიშვილი ლევანი გამიხდა ავად, მეტად მძიმე დაავადებით — აპლასტიური ანემია. ჰემატოლოგიისა და ქიმიოთერაპიის კლინიკა „ჰემას" მთავარმა ექიმმა პროფ. ირაკლი თოფურიძემ მე და ჩემს ვაჟიშვილს პირდაპირ მოგვახალა: მეტად მძიმე დაავადებაა და საჩქაროდ საზღვარგარეთ უნდა წაიყვანოო, იქ მკურნალობა კი 300 ათასი ევრო ჯდებაო. მკვდრებივით გამოვედით ექიმის კაბინეტიდან... რაც მებადა ყველაფერი რომც გამეყიდა, ამდენ თანხას ვერ ვიშოვიდი. შემდეგ გაირკვა, რომ მკურნალობა გაცილებით იაფი ჯდებოდა და ისევ კლინიკა „ჰემაში" მირჩიეს იერუსალიმში, მათ ნაცნობ კლინიკაში გვემკურნალა — 150 ათას ევროდ. მათ, შეიძლება ითქვას, გზა მომიჭრეს და რჩევამ გაჭრა. თურმე ამ დროს, მაგალითად, ავსტრიაში უფრო იაფად და კარგადაც მკურნალობდნენ. რამდენად ეთიკური იყო კლინიკა „ჰემას" თავკაცთა ასეთი მოქმედება, სხვა საკითხია — პერიპეტიებს აღარ შევეხები.

ყოველი ჩვენგანი „ვდგამთ" ჩვენს საკუთარ სპექტაკლს, მაგრამ მისი ფინალი ჩემი ვაჟიშვილისათვის ნაადრევი გამოდგა. თავად გაიცნობიერა, რომ ამ სამყაროს მკვიდრი შეიძლება მალე აღარ ყოფილიყო. ამის ნიჭიც აღმოაჩნდა. ესეც მამშვიდებს.

რაც არ უნდა მოვინდომო ამქვეყნად დარჩენა, სულ უფრო მიახლოვდება იმქვეყნად ვაჟიშვილთან შეხვედრის დრო. მამშვიდებს ის აზრი, რომ ის ცოტაოდენ ბედნიერი მაინც იყო: — შეუვალად სწამდა იმქვეყნიური ცხოვრება — იერუსალიმში სამკურნალოდ წასულმა ერთხანს მოიკეთა და მაშინვე უფლის საფლავზე წავიდა და თაყვანი სცა, მე კი ცხოვრების დასასრულ ყველაზე დიდი ადამიანური ტრაგედიის დასასრულიც და ვაჟიშვილთან შეხვედრის სათუოობაც მიღრღნის სულს — **„ვინ იცის, იქ სხვა რა სამყარო წარმოიქმნება! მე დედამიწის შვილი ვარ და ჩემს ტანჯვალხენას დედამიწაზე ძალუძს მხოლოდ ძალუმად დენა" (ფაუსტი, გოეთე)**. ნეტავ ბევრი რამ არც წამეკითხა — ცხოვრება გაცილებით მარტივი იქნებოდა და, ალბათ, უკეთესიც. გავირთულე.

ვაჟი, როდესაც მდგომარეობა გაუუარესდა, ინტერნეტით დაიწყო დასავლეთ ევროპაში უკეთესი კლინიკების ძებნა. ავსტრიაში ასეთიც მონახა და გაცილებით იაფად — 90 ათას ევროდ. ერთ-ერთი საუბრის დროს, გულმოკლულმა მითხრა: ტელევიზიით ვნახე, ეს ჩვენი პრეზიდენტი ახალი წლისთვის გრანდიოზული, რამდენიმე მილიონად ღირებული კონცერტის გამართვას აპირებს და ჩვენ (მასთან ერთად იერუსალიმის კლინიკაში სხვა ქართველებიც მკურნალობდნენ) კიდევ საშუალება არა გვაქვს უკეთეს კლინიკაში ვიმკურნალოთო, თან დასძინა: იერუსალიმში სამკურნალოდ ყველაფერი გავყიდეთ, ძლივს ვიშოვეთ 150 ათასი ევრო, სახელმწიფო არაფრით დაგვეხმარა, კარგი იქნებოდა ავსტრიაშიმკურნალობაში მაინც დაგვხმარებოდაო. მე, ალბათ, აღარ მიწერია საქართველოში დაბრუნება და კარგი იქნება თხოვნა შემისრულო — იქნებ სადმე დაბეჭდო იმის შესახებ, რომ პრეზიდენტმა ახალგაზრდებს ცხოვრება აგვირია, იგი ჩვენს ქვეყნას ეკონომიკურად და სულიერად აჩანაგებს და ჩემ სიკვდილში მასაც მიუძღვის ბრალიო.

ავსტრიაში სამკურნალოდ წასვლა ველარ მოვახერხეთ. არადა, როგორც სხვას, შეიძლება ჩვენც რაიმე გვშველებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობის სამინისტროში ათი წელი ვიმუშავე დეპარტამენტის თავმჯდომარედ, მინისტრმა სანდრო კვიტაშვილმა მტკიცე უარით გამომიშვა. ჩემი, როგორც დეპარტამენტის თავმჯდომარის მცირე ვალი ჰქონდა და დაახლოებით ის თანხა გამისტუმრეს.

სამართლიანობის აღდგენის გარეშე ჩვენს ქვეყანას მომავალი არა აქვს. ამიტომ არის, რომ მოსახლეობა დაჟინებით მოითხოვს ახლანდელი ხელისუფლებისგან: ნაციონალებმა მკაცრად აგონ პასუხი მათ მიერ ჩადენილ საშინელ დანაშაულობებზე. მათი აზრით, სხვაგვარად ჩვენ დემოკრატიული სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ და ვერც ეკონომიკურად გავიმართებით წელში. დაშინებული, დაბეჩავებული და გაღარიბებული მოსახლეობა სასიკეთოს ვერაფერს შექმნის. სიღარიბე ხომ, ვაჟა-ფშაველას თქმით, **„განხორციელებული უძლურებაა, გოდებაა, მომასწავებელი ყოველგვარი უბედურებისა, მონობისა, გინდა ავაზაკობისა და სხვა გვარის ბეჩაობისა"**.

ჩვენს წინაპრებს კარგად ესმოდათ, რომ უსამართლობა ქვეყნის დაქცევის ტოლფასი იყო. **„ვახტანგ VI-ის კანონთა კრებული"**, რომელიც XVIII საუკუნის დასაწყისშია შედგენილი, ქვეყანაში სამართლიანობის დამყარების მნიშვნელობით იწყება: **„უსამართლობა ამა სოფელსა კაცსა უძეოდ აღმოჰფხურის და გარდაავლინებს, დღეთსიგრძეობასა მოუკლებს, ქვეყანას აუოხრებს, ცანი ცვარს დააკლებენ და ქვეყანა — ნაყოფს, ამ სოფელს შეარცხვენს და იმ სოფელს წასწყმედს და საუკუნო სატანჯველს დაუმკვიდრებს.**

**ესენი ყველაყა უსამართლობისაგან გამოვლენ და სამართლის ქმნა მეფესა და მსაჯულს ამ ყოვლის ბოროტისაგან შორედ ჰყოფს და განსდევნის"...**

ნაციონალებს კიდევ არც ამ სოფელში შერცხვენის ერიდებათ და არც იმ საუფლოში წარწყმედას დაგიდებენ რამედ. უსამართლობა და დაშინება მათ ხელობად გაიხადეს.

ამიტომ არის, რომ ჩადენილი დანაშაულისათვის ერი და ბერი მოითხოვს მათ დასჯას. ჩვენი დიდი წინაპარი სულხან-საბა ორბელიანი გარკვევით წერდა: „ავსა იქმ და კაი გინდა, — ესე ვინმცა მოიგონა? ავსა ავი არ მიეგოს, მსჯავრი რითღა აიწონა"?

ქვეყნის ყოფნა-არყოფნის დღეები იდგა და ამ გადამწყვეტ ბრძოლაში საქართველომ გაიმარჯვა. გასულ წელს ნაციონალების მოუსავლეთში გაგზავნა დაიწყო, რომელიც ერთ დღეში დამთავრდება. 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ სულ რაღაც ორ კვირაში ჩავატარეთ სოციოლოგიური გამოკითხვა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებთან. შედეგები მივიღეთ ისეთი, როგორსაც ნაციონალები იმსახურებდნენ. ერთ-ერთი სტუდენტის მოსაზრებით, „უკვე შეიცვალა რაღაც! მე საკუთარ აზრს ღიად ვაფიქსირებ! ხელს ვაწერ, არ მეშინია! ეს უკვე შედეგია, რომელიც, ვიმედოვნებ, დროებითი არაა". ძნელია უარეს მდგომარეობაში ჩააგდო შენი ქვეყნის მოსახლეობა. ეს ფრიად ადამიანური დოკუმენტი სწორედ ამაზე მეტყველებს. ახლახან, ერთი წლის შემდეგ, იმავე უნივერსიტეტების სტუდენტებთან ისევ ჩავატარეთ გამოკვლევა. სტუდენტთა დიდი უმრავლესობა ამჯერადაც აღნიშნავს, რომ კმაყოფილია „ქართული ოცნების" გამარჯვებით, ცხოვრება იცვლება უკეთესობისაკენ, ქვეყანაში დაძლეულია ე. წ. „შიშის სინდრომი", მოსაწონია საგარეო პოლიტიკის კურსი, შეუძლებელია „კოჰაბიტაცია" ნაციონალურ მოძრაობასთან და სხვ. მეტად საგულისხმოა, რომ სტუდენტი ვაჟების 78,6 პროცენტისა და სტუდენტი ქალების 79,4 პროცენტის აზრით, აუცილებლად საჭიროა ნაციონალური ხელისუფლების მიერ ჩადენილ დანაშაულობებზე უფრო მკაცრი ზომების მიღება. მხოლოდ სტუდენტი ვაჟების 9,2 პროცენტი და სტუდენტი ქალების 6,1 პროცენტი აღნიშნავს, რომ არ არის საჭირო მკაცრი ზომების მიღება, დანარჩენმა სტუდენტებმა პასუხის გაცემისგან თავი შეიკავეს. ასევე გამოკითხულ სტუდენტთა დიდ უმრავლესობას მიაჩნია, რომ პრეზიდენტი, განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში, მოქმედებს ჩვენი ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ. ამ ფონზე მეტად სასაცილოდ წარმოჩნდა დიდი ხნის ვადაგასული და ამდენად, ნაფტალინმოყრილი პრეზიდენტის შეხვედრა 24 ოქტომბერს ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოხიკულ, დამჯერ, როგორც წესი, დამუნჯებულ სტუდენტებთან, რომლის ტრანსლაცია დიდი მონდომებით გადმოსცა „რუსთავი-2"-ის არხმა, რომლის დროსაც პრეზიდენტის გამოსვლას დროდადრო ცვლიდა ვითომ აშენებული და გაჩირაღდნებული ნარიყალას პეიზაჟები. რას იზამ, პიარი ნამდვილად გამოუდით. სირცხვილი ახალგაზრდა კაცს ნიკა გვარამიას, რომელიც ვერაფრით ველარ გაერკვა ავსა და კარგში — მამამისს მაინც დაკითხოდა. სირცხვილი ბევრ სხვა სატელევიზიო არხსა თუ გაზეთს (მათ შორის უკანასკნელ ხანს „მაესტროსაც"), რომელთა დიდი დამსახურებაა, ასეთ დღეში რომ ჩავცვივდით. არ მერიდება იმის თქმა, რომ, რაც ქვეყანას დაემართა ჟურნალისტთა დიდი უმრავლესობის, მათი არაპროფესიონალიზმის და „მსუქანი ჯამაგირისადმი" ზედმეტად სიყვარულის შედეგია. ისინი, მე ვიტყოდი, თავაშვებული მედიის წარმომადგენლები, ახლაც აგრძელებენ ქვეყნის საწინააღმდეგო სვლას, სადილობამდე ერთს ლაპარაკობენ და ნასადილევს მეორეს და კუჭს ზევით ვერაფერს ხედავენ, როგორც დიდი აკაკი იტყოდა.

ახლა ეს ნაციონალები, დავით ბაქრაძის თავკაცობით, საქვეყნოდ გაჰყვირიან: კანი ვიცვალეთ, ისეთები აღარა ვართ ვანო მერაბიშვილისა და ბაჩო ახალაიას ციხეში ჩაჯდომამდე რომ ვიყავით, ხმა მოგვეცითო. რა ვქნა, ვერავინ დამძრახავს, კარდაკარ მოსიარულე ხმების მათხოვრის — სხვის დაკრულზე მობუქნავე და ქვეყნის დაღუპვის მცონარედ შემყურე და მონაწილე დავით ბაქრაძის მაგივრად თუ დიდი რუსთველის ბევრად უფრო მეტად მჯერა, რომელიც ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში აცხადებდა: „ავსა კარგად ვერვინ შეცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს".

ჩვენმა ხალხმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ნაციონალების მიერ ერთი კაცის ხუშტურზე დაფუძნებული მმართველობის უაღრესად მახინჯ სისტემას, რომელმაც ქვეყანა პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული და სულიერი უფსკრულის პირამდე მიიყვანა. როგორც ძველი საბერძნეთის უდიდესი მოაზროვნე დემოკრიტე ამბობს, მსგავსი მსგავს შეიცნობს, ხოლო ქართველი კაცი იტყვის — ბოროტნი ბოროტს ეძებენ და პრეზიდენტმაც შემოიკრიბა სიმართლის ქვრივი ადამიანები: გიგა ბოკერია (მეუღლითურთ), გოკა გაბაშვილი, ძმები კოტე და პავლე კუბლაშვილები, ნუგზარ წიკლაური, გიგი უგულავა, დავით დარჩიაშვილი, აკაკი მინაშვილი, მამა-შვილები: როლანდ, ბაჩანა და დათა ახალაიები, ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ჭიაბერაშვილი, ზაზა გოროზია, თეა თუთბერიძე, ეკა ხერხეულიძე, ხათუნა ოჩიაური, აკაკი ბობოხიძე, ახალგამოჩეკილები ჩიორა თაქთაქიშვილი, გიორგი კანდელაკი, გიორგი ვაშაძე და ბევრი სხვაც პატარა თუ დიდი ჩინოვნიკი და შეუდგნენ სოფლის შენებას.

მოკლედ, როგორც რუსთაველი ამბობს: „მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს" და დაიწყეს საქმის მაგივრად ენის ტრიალი. მათ, როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ, „სიტყუაი დამპალი" და „უქმსიტყვაობიაი" უყვარდათ და ლაპარაკად იყვნენ სათავისოდ გადაქცეულნი. მე მათ დავარქმევდი „ენამანქანა" ადამიანებს, როგორც ეს აღნიშნულია მე-11 საუკუნის ერთ-ერთ ლიტერატურულ ძეგლში, რომლებიც არაფრად ფასობდნენ, მაგრამ მათი „სიტყუაი დამპალი" საშინელ ჭირად შეეყარა ქვეყანას, რომლისგან განთავისუფლებას მთლიანობაში ათი წელი მოანდომა ქართველმა ხალხმა. ასეთი არის ვითომ ვარდებით მოსული ბოროტი ყვავილების ნამდვილი სახე, რომელთაც ეგონათ, რომ „რევოლუციაზე ლოგინი ჰქონდათ დაგებული" და რამდენიმე ათეული წელი კიდევ იპარპაშებდნენ.



**ანზორ თოთაძე,**
**პროფესორი, დემოგრაფი.**

**P. S.**

**ძუჩარა — დრო კია მამამისი წყვიწყვი შავს იკერავდეს.**

**კაკუტა — კი, კი, ზარალი გამოუვიდა...**

**1-ლი ტუსაღი — მაშ, თუ ჭკუანაკლების ხელში ვიყავით, კიდევ კარგად გადავრჩენილვართ...**

**პოლიკარპე კაკაბაძე. „ყვარყვარე თუთაბერი".**

ძიუდო



# უიღბლო დღე

**ლიუბლიანაში მიმდინარე ახალგაზრდა ძიუდოისტთა მსოფლიოს პირველობის მეორე დღე ქართველი ფალავნებისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა — სამი ჩვენებური გავიდა ტატამზე და ვერც ერთი მათგანი კვარცხლბეკს ვერ შესწვდა.** გელა კელიხაშვილი (66 კგ) სტარტზევე მონღოლ ტუმენასან ერდენეტოგტოხთან პაექრობის პირველ წუთზე მიღებული გაფრთხილებით დამარცხდა. ევროპის წლევანდელი პირველობის ვერცხლისმედალოსან ლევან გუგავას (73 კგ) პოლონელმა დამიან სტეპიენმა იუკოთი აჯობა, ხოლო ევროპის შარშანდელი პრიზიორი ფრიდონ გიგანი (73 კგ) სამი შიდოთი იტალიელმა ანტონიო ესპოზიტომ ჩამოიშორა გზიდან.

დარჩენილ ოთხ წონით კატეგორიაში ქართველთაგან ბექა დონღვანი (81 კგ), ბექა ღვინიაშვილი, ლაშა ტაველური (ორივე 90 კგ), გურამ თუშიშვილი (100 კგ), ლევან მატიაშვილი და გიორგი ზაქარიაძე (ორივე (100 კგ) იჭიდავებენ.

**გივი გაგუა**

კალათბურთი

# როცა „მანუც“ უძლურია

**ევროლიგის მოქმედი გვირგვინოსანი პირეოსის „ოლიმპიაკოსი“, ეტყობა, წლეულსაც უმაღლეს მიზნებს ისახავს.**

ამას სეზონის სტარტზე ეროვნულ ჩემპიონატში მარადიულ მეტოქე „პანათინაიკოსთან“ მოპოვებული გამარჯვებაც მოწმობს — 55:45, თუმცა არანაკლებ ქებას ბარძოკასის გუნდი საერთაშორისო ტიტულის დასაცავად გაჩაღებულ ჯგუფურ რაუნდში მოპოვებული ზედიზედ მეორე გამარჯვების გამო იმსახურებს, სადაც სტუმრად „გალათასარაის“ სძლია — 78:67.

მოგეხსენებათ, თურქულ-ბერძნული ჯახი, ტრადიციისამებრ, სპორტულ ჩარჩოებს სცილდება და პრინციპულ ხასიათს ატარებს. მეზობელთა სტამბოლურ ბრძოლას დამატებით ინტრიგას ის ფაქტიც სძენდა, რომ მასპინძელთა ღირსებას მიმდინარე ევროლიგაში მოთამაშე ერთადერთი ქართველი ლეგიონერი მანუჩარ მარკოიშვილი იცავს.

„ჯვაროსანთა“ ერთ-ერთი ლიდერი ამჯერადაც ჩვეულად გაისარჯა, პარტნიორებს 7 ქულით შეეწია, მაგრამ სპანულისისა და კომპანიის წინააღმდეგ უძლური აღმოჩნდა. **„რეალი“ — „ბროზე“ 98:58, „მილანი“ — „ჟალგირისი“ 82:75, „მაკაბი“ — „ცრვენა ზვეზდა“ 96:82, „ყუბანი“ — „რიტასი“ 68:53.**

**ვიტალი ჯაფარიძე**




ხელბურთი

# ხვალ დოჰასა და კიევში

**ქატარის დედაქალაქ დოჰაში ხვალ ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი გაიმართება, სადაც გაირკვევა, თუ ვინ უმასპინძლებს 2017 წელს 19-წლამდელ ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიოს პირველობის ფინალურ ეტაპს.** კანდიდატი ორია — საქართველო და ხორვატეთი. კონგრესში მონაწილეობის მისაღებად გუშინ დოჰაში გაემგზავრა საქართველოს დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან საქართველოს ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზურაბ კაკაბაძე, გენერალური მდივანი ქეთევან კობერიძე, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი ჩავლეიშვილი, იმერეთისა და კახეთის რეგიონული ხელბურთის ფედერაციების ხელმძღვანელები დავით აბულაძე და გიორგი სვიმონიშვილი. საქართველოს განაცხადს წარადგენს ქეთევან კობერიძე. საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ კონგრესს აცნობა, რომ ტურნირი თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და თელავში გაიმართება. ამასთანავე, საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით დაგეგმილია სამი ახალი, თანამედროვე სტანდარტების სპორტის სასახლის მშენებლობა თელავში (2000 ადგილით), ქუთაისსა (3-4 ათასი) და ბათუმში (5-6 ათასი).

დღეს დილით კიევში გაფრინდა და 27—28 ოქტომბერს უკრაინის ნაკრებთან ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები (შოთა თევზაძე, გიგა ტორონჯაძე, სერგო დათუკაშვილი, ვლადიმერ რუსია, რატი მსხვილიძე, რევაზ ჭანტურია, ირაკლი ჩიქოვანი, აკაკი ტალახაძე, ლევან ბერძენიშვილი, ილია გოგალაძე, გიორგი გვაზავა, უჩა გამზარდია, ზურაბ აბრამიშვილი, ოთარ ამირანაშვილი, მწვრთნელები — ირაკლი კეკელიძე, ბექა ორჯონიკიძე) სერბი სპეციალისტის ჯორჯ რასიჩის ხელმძღვანელობით. შეგახსენებთ, რომ ჩვენი ხელბურთელები 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის ემზადებიან, რომელიც 30 ოქტომბერს იწყება. ამ დღეს საქართველოს ნაკრები სტუმრად ლიტვას დაუპირისპირდება.

**ლაშა დიდია**

რაგბი

# თბილისსა და რუსთავში უმასპინძლებენ




**ნოემბერი დაძაბული თვე იქნება საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრებისთვის — „ბორჯღალოსნებს“ სამი ურთულესი ტესტ-მატჩი ელით. მილტონ ჰეიგის შეგირდები 9 ნოემბერს თბილისში კანადის ეროვნულ ნაკრებს უმასპინძლებენ, 16 ნოემბერს ამერიკელ მორაგბეებს რუსთავში დაუპირისპირდებიან, ხოლო 23 ნოემბერს სამოას ნაკრებს ისევ თბილისში გაუწევენ მეტოქეობას.** ახალზელანდიელმა სპეციალისტმა ტრავმების გამო რამდენიმე მორაგბე შეკრებაზე ვერ გამოიძახა, მაგრამ გუნდის პოტენციურ შესაძლებლობებზე ეს არ იმოქმედებს, რადგან ისინი სრულფასოვანი მოთამაშეებით ჩაანაცვლეს. „ურთულესი ორთაბრძოლები გველის, მაგრამ სერიოზულად ვემზადებით და ვეცდებით, გულშემატკივრები არ გავაწბილოთ.“ — აღნიშნა პრესასთან საუბარში მილტონ ჰეიგმა, რომელმაც ნოემბრის პაექრობებისთვის ასეთ გაფართოებულ შემადგენლობას უხმო: **პირველი ხაზი:** დავით ხინჩაგიშვილი („რასინგ მეტრო“, საფრანგეთი), მიხეილ ნარიაშვილი („მონპელიე“, საფრანგეთი), ზურაბ ჟვანია („სტად ფრანსე“, საფრანგეთი), სიმონ მაისურაძე („ბანიერი“, საფრანგეთი), შალვა მამუკაშვილი („არმია“, თბილისი), რევაზ ბელქანია („ლელო“, თბილისი), დავით ქუბრიაშვილი ("სტად ფრანსე“, საფრანგეთი), ლევან ჩილაჩავა („ტულონი“, საფრანგეთი); **მეორე ხაზი:** კონსტანტინე მიქაუტაძე („ტულონი“, საფრანგეთი), გიორგი ჩხაიძე („ტარბი“, საფრანგეთი), ლევან დათუნაშვილი („ორიაკი“, საფრანგეთი); **მესამე ხაზი:** ვიქტორ კოლელიშვილი („ლიონი“, საფრანგეთი), მამუკა გორგოძე („მონპელიე“, საფრანგეთი), შალვა სუთიაშვილი („მასი“, საფრანგეთი), გივი ბერიშვილი („ლოკომოტივი“, თბილისი), დიმიტრი ბასილაია („ედინბურგი“, შოტლანდია); **9-10:** გიორგი ბეგაძე („ყოჩები“, ბოლნისი), ვაჟა ხუციშვილი („ხარები“, რუსთავი), მერაბ კვირიკაშვილი („ვიენი“, საფრანგეთი), ლაშა მალაღურაძე („ბანიერი“, საფრანგეთი), ლაშა ხმალაძე („ლელო“, თბილისი); **უკანა ხაზი:** მერაბ შარიქაძე („ბურგ-ან-ბრესი“, საფრანგეთი), დავით კაჭარავა („ენისეი“, რუსეთი), თედო ზიბზიბაძე („პერიგო“, საფრანგეთი), ირაკლი მაჩხანელი („არმაზი“, თბილისი, კაპ.), თამაზ მჭედლიძე („ბურგ-ან-ბრესი“, საფრანგეთი), ირაკლი ყიასაშვილი („ლელო“, თბილისი), ბექა წიკლაური („ლოკომოტივი“, თბილისი).

**ლექსო ცინცაძე**

ფეხბურთი

# საოქმო ენით

**ევროპის ლიგის ჯგუფური რაუნდი. III ტური.**

**„ა“ ჯგუფი.** „სუონსი“ — „ყუბანი“ 1:1, „ვალენსია“ — „სენტ გალენი“ 5:1.

„სუონსი“ — 7, „ვალენსია“ — 6, „სენტ გალენი“ — 3, „ყუბანი“ — 1 ქულა.

**„ბ“ ჯგუფი.** ზაგრების „დინამო“ — „ეინდჰოვენი“ 0:0, „ჩერნომორეცი“ — „ლუდოგორეცი“ 0:1.

„ლუდოგორეცი“ — 9, „ეინდჰოვენი“ — 4, „ჩერნომორეცი“ — 3, ზაგრების „დინამო“ — 1 ქულა.

**„გ“ ჯგუფი.** „ზალცბურგი“ — „სტანდარტი“ 2:1, „ელფსბორგი“ — „ესბიერგი“ 1:2.

„ზალცბურგი“ — 9, „ესბიერგი“ — 6, „სტანდარტი“, „ელფსბორგი“ — 1-1 ქულა.

**„დ“ ჯგუფი.** „უიგანი“ — „რუბინი“ 1:1, „ვარეგემი“ — „მარიბორი“ 1:3.

„რუბინი“ — 7, „უიგანი“ — 5, „მარიბორი“ — 3, „ვარეგემი“ — 1 ქულა.

**„ე“ ჯგუფი.** „ფიორენტინა“ — „პანდური“ 3:0, „ფერეირა“ — „დნიპრო“ 0:2.

„ფიორენტინა“ — 9, „დნიპრო“ — 6, „პანდური“, „ფერეირა“ — 1-1 ქულა.

**„ვ“ ჯგუფი.** „აინტრახტი“ — „მაკაბი“ 2:0, „ბორდო“ — „აპოელი“ 2:1.

„აინტრახტი“ — 9, „მაკაბი“ — 4, „ბორდო“ — 3, „აპოელი“ — 1 ქულა.

**„ზ“ ჯგუფი.** „გენკი“ — „რაპიდი“ 1:1, კიევის „დინამო“ — „თუნი“ 3:0.

„გენკი“ — 7, კიევის „დინამო“ — 4, „თუნი“ — 3, „რაპიდი“ — 2 ქულა.

**„თ“ ჯგუფი.** „ფრაიბურგი“ — „ეშტორილი“ 1:1, „ლიბერეცი“ — „სევილია“ 1:1.

„სევილია“ — 7, „ლიბერეცი“ — 5, „ფრაიბურგი“ — 2, „ეშტორილი“ — 1 ქულა.

**„ი“ ჯგუფი.** „ლიონი“ — „რიეკა“ 1:0, „ბეტისი“ — „გიმარაეში“ 1:0.

„ბეტისი“, „ლიონი“— 5-5, „გიმარაეში“ — 4, „რიეკა“ — 1 ქულა.

**„კ“ ჯგუფი.** „ტრაბზონი“ — „ლეგია“ 2:0, „აპოლონი“ — „ლაციო“ 0:0.

„ტრაბზონი“ — 7, „ლაციო“ — 5, „აპოლონი“ — 4, „ლეგია“ — 0 ქულა.

**„ლ“ ჯგუფი.** „შერიფი“ — „ტოტენჰემი“ 0:2, „ანჟი“ — „ტრომსო“ 1:0.




„ტოტენჰემი“ — 9, „ანჟი“ — 4, „შერიფი“ — 2, „ტრომსო“ — 1 ქულა.

**„მ“ ჯგუფი.** პაოკი — „ჰაიფა“ 3:2, „ყარაგანდა“ — „ალკმაარი“ 1:1.

პაოკი — 7, „ალკმაარი“ — 5, „ყარაგანდა“ — 2, „ჰაიფა“ — 1 ქულა.

**გიორგი შოთაძე**

კვალი დროში

# ღვთისგან დაჯილდოებული ორგანიზატორი

## საქართველოს ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტი, პროფესორი გურამ ბექაია 84 წლისაა



**სსიპ ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის სამეცნიერო კონსულტანტს, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის და რუსეთის სამედიცინო-ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გურამ ბექაიას 84 წელი უსრულდება და მე მინდა მთელი ჩვენი კოლექტივის სახელით მოვულოცო მას დაბადების დღე.**

ჩვენი ცენტრი დაარსებულია ოთხი ინსტიტუტის შერწყმის შედეგად, რომელთა „ალმა მატერი“ ქართულ მეცნიერებაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბრენდი — ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი იყო, რომელთანაც დაკავშირებულია პროფესორ გურამ ბექაიას მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა. 1954 წელს ბატონი გურამი ჩაირიცხა ასპირანტად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში და დღემდე ნაყოფიერად და წარმატებულად მოღვაწეობს ჩვენს ცენტრში. მის წიაღში მან გამოიარა დიდი სამეცნიერო გზა ასპირანტიდან დირექტორის მოადგილემდე სამეცნიერო დარგში, წლების განმავლობაში იყო ნათხემის ფიზიოლოგიის ლაბორატორიის გამგე და ინსტიტუტის სწავლული მდივანი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიოლოგიის განყოფილების სწავლული მდივანი. 2007 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ მას ივანე ბერიტაშვილის სახელობის პრემია მიანიჭა. უკვე 50 წელია, რაც პროფესორი გურამ ბექაია ნაყოფიერად სწავლობს თავის ტვინის მოქმედების კანონზომიერებების სხვადასხვა ასპექტს. ბატონი გურამის ლექციებზე აღიზარდა სტუდენტების და ასპირანტების არაერთი თაობა. გარდა საკუთარი მრავალრიცხოვანი სამეცნიერო შრომებისა, ის გახლავთ მრავალი სამეცნიერო მონოგრაფიის რეცენზენტი და რედაქტორი.

ბატონი გურამი ღვთისაგან უნიკალური ორგანიზატორული ნიჭით გამოირჩევა, მისი ხელმძღვანელობით ჩატარებულია მრავალი საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენცია და სიმპოზიუმი, რომელთა შორის ერთ-ერთმა უკანასკნელმა, ამა წლის სექტემბერში ჩატარებულმა საქართველოს ფიზიოლოგთა მე-3 ეროვნულმა ყრილობამ უკვე მოიპოვა საყოველთაო, მათ შორის საერთაშორისო მოწონება და აღიარება.

ბატონი გურამის პიროვნული ღირსებები, მისი უნიკალური კომუნიკაციის უნარი, ზრუნვა ახლობლებზე, ნაცნობებსა და უცნობებზეც კი იმ დიდი სიყვარულის საფუძველია, რომლის გამოც ის ყველა ჩვენგანისთვის არის ჩვენი საყვარელი „ბექო“.

ვულოცავთ ბატონ გურამს დაბადების დღეს, ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას, სამეცნიერო წარმატებებს და ოჯახის წევრებთან ერთად დღეგრძელობას.

**დავით ნადარეიშვილი,**
**სსიპ ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის დირექტორი.**

არჩევნები

# ერთ ოჯახზე მიწერილი 6 „მისტერ იქსი“

## ცესკო „რჩევას გვაძლევს“

**ორიოდე დღის წინათ რედაქციაში ბატონ ნაპოლეონ ქარქაშაძის ზარი გაისმა. არც გაგვკვირვებია, ყველასათვის ცნობილი და საპატივცემულო ადამიანი, ჩვენი გაზეთის ძველი, ერთგული მეგობარია. ასე რომ, მის მოკითხვებს შეჩვეულნი ვართ, მაგრამ ამჯერად სხვა რამეს შეუწუხებია. მისი წუხილი, გაოცებაც მავანთა უპასუხისმგებლობას, საპრეზიდენტო არჩევნებს და ცესკოს ჯერ კიდევ ბოლომდე დაუზუსტებელ სიებს ეხებოდა. ბატონ ნაპოლეონს ბინაზე, მირზა გელოვანის ქუჩაზე ვესტუმრე.**



აღშფოთებული, მაგრამ მაინც ჩვეული ღიმილით, იუმორნარევი სიდინჯით მიხსნიდა შექმნილ ვითარებას. მოკლედ, ბატონ ნაპოლეონთან მის კერძო სახლში, სულ ოთხი სულია ჩაწერილი — თვითონ, ქალიშვილი და ორი შვილიშვილი, რომელთაც საარჩევნო ხმის უფლება აქვთ. საარჩევნო ბიულეტენები, რაც წესით და კანონით ეკუთვნოდათ, ერთით ნაკლები მიიღეს (რატომღაც ქალიშვილი გამორჩათ), სამაგიეროდ, სხვა ექვსი(!) ბიულეტენიც დაუტოვეს. აღმოჩნდა, რომ ამავე ბინაზე მიწერილნი (კაცმა არ იცის, როგორ!) არიან ვინმე ქეცბაია ნანა (ამომრჩეველთა სიაში ნომრით 1189), ქეცბაია ანა (№1176), ქეცბაია ზაური (№1177), ქეცბაია ლეილა (№1178), კუპრაძე ქეთევანი (№652) და გულუა ციალა (326).

რომ გითხრათ, გაკვირვებული დავრჩი-მეთქი, მოგატყუებთ, რადგან თითქმის 15 წელია, ჩემს მისამართზე ყოველი არჩევნების დროს სამი ან ოთხი ასეთი მიწერილი ადამიანის საარჩევნო ბიულეტენი მოდის. ნაცნობ გვარებზე არ მაქვს უკვე პრეტენზია, რადგან მათ ვიცნობდი და უკვე ოც წელზე მეტია, არათუ ჩვენს შენობაში, თბილისშიც აღარ ცხოვრობენ. ყოველ არჩევნებზე ვშლით მათ გვარებს, მომავალ არჩევნებზე იგივე მეორდება.

მართალია, ჩემმა მონაყოლმა ღიმილიც მოგვარა ბატონ ნაპოლეონს, მაგრამ შვება მაინც — ვერა, რადგან ჩემი ბინა თუ კორპუსშია, ბატონი ნაპოლეონი კერძო სახლში ცხოვრობს. გადავწყვიტეთ ცხელ ხაზზე ცესკოში დაგვერეკა. იქ კი ნამდვილად „დამაკმაყოფილებელი“ გაზუთხული პასუხი გაგვცეს — თქვენ თვითონ მიბრძანდით საარჩევნო უბანზე და ამოაშლევინეთ მიწერილი პირები და საქმე საჯარო რეესტრში გაარკვიეთო.

კეთილი და პატიოსანი. ამ პირებს კი ამოვშლით, მაგრამ რამდენი ამგვარი მიწერილი პირია მთელ საქართველოში, რომელთა წყალობითაც იბერება საარჩევნო სიები? ვგონებ, ცესკოს თანამშრომლები სიების დადგენისა და დაზუსტებისათვის კარგა გვარიან თანხასაც იჯიბავენ და წლებია, საქმეს საშველი არ დაადგა.

უფრო საშინელება წინ გველოდა, ახლა საჯარო რეესტრის ცხელ ხაზზე დავრეკეთ და ყოველივე ავუხსენით. იქიდანაც ბრტყელ-ბრტყელი შეგონებები — მოიტანთ ცნობებს და საბუთებს, რამდენი სული ხართ ჩაწერილი აღნიშნულ მისამართზე და თავად ჩვენ ვიზრუნებთ მათ ამოწერაზეო.

მოკლედ, იმდენი საბუთი მოითხოვეს (თანხის გადახდაზე აღარაა საუბარი), რომ ამ არჩევნებისთვის თუ არა, მომავალი არჩევნებისთვის მაინც მოვაგვარებთ ამ საქმეს. ბატონმა ნაპოლეონმა ისიც კი სცადა, ცესკოს თავმჯდომარეს დაკავშირებოდა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, არც მისი საკონტაქტო ტელეფონი მოგვცეს და ბოლოს ვერც იმ ოპერატორის ვინაობა დავადგინეთ, ვინც ასე „დაგვაკვალიანა“ საჯარო რეესტრში.

მართლაც, არიადნას ძაფი დაგვჭირდება, ამ საშინელ ლაბირინთში რომ გაიკვლიო გზა და ფონს გახვიდე. ქსეროასლსაც აქვე გთავაზობთ. თუ საარჩევნო სიების დამდგენი კომისია ამ ტემპით იმუშავებს, მომავალი არჩევნებისთვის მოსახლეობის რიცხვით ჩინეთს თუ არა, ინდოეთს მაინც გადავუსწრებთ.

**მამუკა ვაშაკიძე**

ეპიტაფია

# ჩვენი მეგობარი თამაზ ებანოიძე



ხანდაზმულობამ წელში მოღუნა, მაგრამ აზროვნების უნარი ვერ გაუღუნა. მეცხრე ათეულში გადამდგარს დროსა და ცხოვრებაზე კვლავ ჯანსაღი შეხედულება ჰქონდა შერჩენილი. ბოლო წლები ასაკთან ჭიდილში გაატარა. ასაკს გონისა და გონების ასალესად იყენებდა. განვლილი ათეული წლები სიბრძნის ჭად აქცია. თავადაც უკვე ოწინარს დამსგავსებულს ამ ჭიდან პირადი არა, მხოლოდ საზოგადოებრივი სარგებლობისთვის ამოჰქონდა ფრიად საჭირო სიბრძნე და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებიდან მაღალპროფესიულად ნაოსტატარ წერილად, კორესპონდენციად, სატირულ ლექსად, მწვავე დროულ წკეპლიკა-რეპლიკად მიჰქონდა მკითხველამდე.

პროფესიით **თამაზ ებანოიძე** მათემატიკოსი იყო. სამეცნიერო ხარისხიც ჰქონდა. თავის დროზე ლექციებსაც კითხულობდა. მაგრამ ქართული სიტყვის ტრფიალმა სძლია და თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი ჟურნალისტიკაში იღვაწა. ბოლო დროს ის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კონსულტანტი და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კალამუხვი კორესპონდენტი იყო. მუდამ დაუზარელი, შემართული, მუდამ პრინციპული, ბავშვივით დაგეუმცროსებოდა და დაგესაქმებოდა, მაგრამ ამპარტავნულ საქციელს არამც და არამც არ გაპატიებდა, არ გაპატიებდა არც უსამართლობას, თუ საჭირო იყო, თვით სამეფო ტახტზე მჯდომსაც შებედავდა სათქმელს.

განსაკუთრებით გაფაქიზებული დამოკიდებულება ჰქონდა თამაზს ქართული ენის მიმართ. წერდა სხარტად, ლაღად, როგორც მათემატიკოსი, მათემატიკური სიზუსტით. თავისი ხუმარსიტყვით თუ ჭინჭარსიტყვით ყოველთვის ზუსტად ურტყამდა მიზანს. პოლიტიკურად იგი მუდამ ჩვენი საზოგადოების ჯანსაღი უმრავლესობის მხარეს იდგა და რაც შეეძლო იბრძოდა კიდეც. დღეს რომ ჩვენ სხვა, წინა სხვა გრძელი წელიწადისგან განსხვავებულ, პოლიტიკურ ვითარებაში აღმოვჩნდით, ალბათ, ძალიან მცირე, მაგრამ უთუოდ თამაზ ებანოიძის, როგორც მებრძოლი მოქალაქისა და ჟურნალისტის წვლილიც არის. არადა მათემატიკის ენაზე თუ ვიტყვით, საერთო გამარჯვება ხომ სწორედ ცალკეული ადამიანების წვლილთა ჯამია. აი ჩვენი საერთო გამარჯვების ამ ჯამში თამაზ ებანოიძის მიერ შეტანილ წვლილზეა ლაპარაკი.

ცალკე უნდა ითქვას ისიც, რომ თამაზ ებანოიძე ქართულ სინამდვილეში როგორ ქართული, ისე მსოფლიო მეცნიერების ერთ-ერთი გამორჩეული პოპულარიზატორი იყო, რაც ასე აკლია ჩვენს ამჟამინდელ ყვითელფერადაკრულ ჟურნალისტიკას, რომელსაც, სამწუხაროდ, ყოველგვარ მეცნიერულ თუ ცხოვრებისეულ სიზუსტეს საზოგადოების ავად დამარეტიანებელი ერთი მამალი ჭორი ურჩევნია.

ჩვენს უბარაქო ცხოვრებაში უჩემოდაც ბევრი კითხვის ნიშანია, მგონი, მე უკვე ზედმეტი ვჩანვარო, ხშირად მწარედ უთქვამს ბოლო დროს მართლაც დიდ კითხვის ნიშანსავით მოხრილ თამაზ ებანოიძეს მეგობართა წრეში. არა, ის არასოდეს ზედმეტი არ ყოფილა, ის მუდამ იქ და იმ დროს აუცილებლად საჭირო იყო. ბოლოს, როგორც ყველა, ისიც წავიდა, მაგრამ კითხვის ნიშანი თან არ წაუღია, აქ დატოვა ჩვენგან, თითოეული ნაღდი ქართველისგან პასუხის გასაცემად. არადა, მართლაც, ბოლოს და ბოლოს, როდის გაეცემა პასუხი, არა მარტო თამაზ ებანოიძის, არამედ ყველა ჩვენგანის უკვე ოცწლიან კითხვას: როდემდე უნდა იყოს ამ დღეში საქართველო, როდემდე უნდა ვიყოთ ამ დღეში?!

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ცნობილი მეცნიერის, ჟურნალისტის, მებრძოლი მოქალაქის**

**თამაზ ებანოიძის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 27, 28 X, დიღმის მასივი, V კვარტალი, მე-6 კორპუსი. დაკრძალვა 29 X, ხაშურში.**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599
32-85-76.

**საქართველოს ენერგეტიკის აკადემია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის წევრი**

**გენადი მესხია**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ კოლექტივი და პროფესიული კავშირი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თანამშრომლის, გამორჩეული ქალბატონის, საყვარელი პიროვნების**

**ინა ხანდამაშვილის**

**გარდაცვალების გამო. სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.**

**ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !**

გაცნობებთ, რომ გარდაიცვალა მოქ. ნატალია (ნატო) ოდიშელიძე 09.11.1982 წელს.
მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება.
ნოტარიუსი მაია წიკლაური.
თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №55.

## გვეკითხებიან — ვუპასუხებთ

### დიაგნოზს ტკივილი გვიკარნახებს

**ჩვენს ოჯახში ყველას აწუხებდა სახსრების დაავადება. მეშინია, არ გავიმეორო მათი ბედი. რა სიმპტომებით შეიძლება გამოვიანგარიშოთ ეს დაავადება?**

**მარინე, ფოთი**

**გვიპასუხებს ექიმი-რევმატოლოგი სიმონ კუხალაშვილი:**



—თავდაპირველად უნდა ვისწავლოთ, მოვუსმინოთ ჩვენს ორგანიზმს, მივაქციოთ ყურადღება წარმოქმნილი ტკივილის ხასიათს. ართროზის დროს ყველაზე ხშირად იტანჯება ფეხების სახსრები (მენჯ-ბარძაყის, მუხლის, კოჭ-წვივის), რომლებიც მაქსიმალურადაა დატვირთული. ართროზის მეორე განმასხვავებელი თვისებაა — ტკივილის მექანიკური რიტმი, რომელიც მოძრაობის დროს წარმოიქმნება.

რევმატოიდული ართრიტი თავს გვახსენებს ტკივილებით მტევნებსა და ტერფების სახსრებში.როგორც წესი — სიმეტრიულით. ინფექციური წარმომავლობის რეაქტიული ართრიტის დროს ტკივილის შეგრძნებებს აქვთ ასიმეტრიული ხასიათი: არის არა ორივე სახსრის ყრუ ტკივილები, არამედ ერთის. ტკივილი მოიცავს ყოველივეს, თანდათანობით, გადადის ფეხიდან ფეხზე.

დიაგნოზის დადასტურებაში დაგვეხმარება რენტგენოლოგიური გამოკვლევა რეაქტიული ართრიტისა და ბეხტერევის დაავადების დროს — მენჯისა, ართროზის დროს — მუხლებისა და მტევნებისა, რევმატოიდული ართრიტის დროს— მტევნებისა და ტერფებისა.

### საქმე მხოლოდ კუჭნაწლავი როდია

**დედაჩემი ახლა 67 წლისაა, ბოლო ხანებში კუჭის შეკრულობას უჩივის. ექიმები კუჭნაწლავის რაიმე სერიოზულ დაავადებას ვერ ნახულობენ. რაშია მაშ პრობლემა?**

**თამარ ბ. ქუთაისი**

**გვიპასუხებს გასტროენტეროლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ელისო სეხნიაშვილი:**

— კუჭის შეკრულობა ხანდაზმულებში იშვიათობა როდია. ნაწილობრივ იგი განპირობებულია იმით, რომ ასაკთან ერთად თანდათან ქვეითდება სხეულის ყველა კუნთის ტონუსიც, მათ შორის იმათაც, რომლებზეც დამოკიდებულია კუჭნაწლავის პერისტალტიკა.

არის სხვა არასასიაამოვნო ფაქტორებიც. თქვენ ამბობთ, რომ დედათქვენს კუჭნაწლავის დაავადება არ გამოუვლინდა. არის ორგანიზმის სხვა სისტემების დაავადებანი? ხშირად სწორედ ისინი ხდებიან კუჭის შეკრულობის მიზეზი. მარტივი მაგალითი. ადამიანს აქვს ჰიპერტონია. ამის გამო ექიმი ურჩევს სვას დღეში სულ ცოტა 1,5 ლიტრი სითხე. სინამდვილეში პაციენტმა შეიძლება დალიოს კიდევ უფრო ცოტა, საკვებში სითხის შემცველობაზე კი პირდაპირ არის დამოკიდებული კუჭნაწლავის გათავისუფლების პროცესი.

არის პრობლემები კბილებთან დაკავშირებით? ზოგჯერ მათ გამო ადამიანი უფრო ცოტა საჭმლის ჭამას



იწყებს ან ირჩევს რბილ, საკვები ბოჭკოებით ღარიბ საჭმელს (ვაშლის მოკბეჩა ან კომბოსტოს სალათის მიღება მისთვის ხომ ძნელია). ასეთი პროდუქტები გადამუშავების დროს ტოვებენ ნაკლებ „ნარჩენებს“, ამიტომ გადამუშავებული საკვების „ნარჩენებიც“ მცირდება.

დიდი მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ დატვირთვასაც. სამწუხაროდ, ხშირად გვიხდება თვალყური ვადევნოთ, თუ ხანდაზმული ადამიანები ცუდი გუნება-განწყობილების გამო თითქმის არ გამოდიან სახლიდან. მოძრაობის მცირე აქტივობის გამო უარესდება კუჭნაწლავის სისხლით მომარაგება, ქვეითდება მისი ტონუსი, ეს კი ზრდის ყაბზობის რისკს.

კუჭნაწლავის გათავისუფლების პრობლემის თავიდან ასაცილებლად დედათქვენი უნდა ეწეოდეს მაქსიმალურად ჯანსაღი ცხოვრების წესს. თუ არ არის საშუალება, ყოველდღე მოვაწყოთ ხანგრძლივი გასეირნებანი, საჭიროა უკიდურეს შემთხვევაში რეგულარულად ვაწარმოებდეთ მარტივ ფიზიკურ ვარჯიშებს. შეიძლება ეფექტიანი იყოს მუცლის მასაჟიც, თუმცა ის უნდა შეასრულოს სპეციალისტმა. თუ ვერ ვახერხებთ, მივიღოთ ბევრი ახალი ბოსტნეული — საჭიროა რაციონში ჩავრთოთ მოშუშული საკვები ან გადავიდეთ ბოსტნეულის პიურეზე. აუცილებელია კონტროლზე გვქონდეს უფროსი ასაკის ადამიანებისთვის დამახასიათებელი ისეთი დაავადებანი, როგორებიცაა ჰიპერტონია, დიაბეტი, ფარისებრი ჯირკვლის პრობლემები. თუ ეს ყველაფერი შედეგს არ იძლევა, კონსულტაციისთვის უნდა მივმართოთ ექიმს სასაქმებელი საშუალებების მიღებასთან დაკავშირებით.

### წყალი დაგვეხმარება წონის დაკლებაში

**ხშირად საუბრობენ, რომ ჭამის დროს წყლის სმა მავნეაო. ნუთუ ეს სიმართლეა? მე, მაგალითად, ძალიან მიჭირს ჭამა უწყლოდ.**

**მ.ტ. სამტრედია**



**გვიპასუხებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ირინე ჩიხრაძე:**

— ადრე მართლაც ითვლებოდა, რომ ჭამის დროს დალეულმა სითხემ შეიძლება ზიანი მიაყენოს საკვების გადამუშავებასო. მაგრამ თანამედროვე სპეციალისტებმა დიდი ხანია უარყვეს ეს თეორია. პირიქით, წყალი ან სხვა სასმელი, რომელსაც დავლევთ ჭამის დროს, გვეხმარება თავიდან ავიცილოთ გადაჭარბებული ჭამა. წყალი ხომ კუჭში ქმნის დამატებით მოცულობას, გვეხმარება დავნაყრდეთ მცირე ულუფებით. მეორე ხერხი, ვჭამოთ ნაკლები — ესაა დავლიოთ წყალი უშუალოდ მანამდე, სანამ მაგიდას მივუჯდებოდეთ, სითხე ცოტა ხნით მოგვიდუნებს შიმშილის გრძნობას.

### შეიძლება 55 დღე-ღამე არ გეძინოს?

**ბერლუსკონიმ აღიარა, რომ მისი სიცოცხლის გამწარების გამო უკვე 55 დღე-ღამეა ვერ იძინებს. რას ამბობენ ექიმები — შეუძლია ადამიანს არ ეძინოს თითქმის ორი თვე?**

**ბ. ჯაფარიძე, მესტია**

**გვიპასუხებს ექიმი-სომნოლოგი თამაზ კობიაშვილი:**

— არ გეძინოს ორი თვე, შეუძლებელია! ძილი —ესაა ერთ-ერთი საბაზო ფიზიოლოგიური მოთხოვნილება, ურომლისოდაც ადამიანს დიდხანს გაძლება არ შეუძლია. უძილობის დადასტურებული პერიოდი — სამი დღე-ღამეა. სამედიცინო დაკვირვებანი „ქრონიკულად უძინარ“ ადამიანებზე გვიჩვენებს, რომ თუ ადამიანი ლოგინშიც კი არ წვება, მაინც ძინავს — ენცეფალოგრამაზე მას უფიქსირდება ძილის პერიოდები.

რაც შეეხება ბერლუსკონის, რა, მას რაც უთქვამს, ყველაფერი დასაჯერებელია?

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



### „დავით ბაქრაძე არჩევნებში იძულებით მონაწილეობს“

— **აცხადებს** პეტრე მამრაძე, — ოქტომბრის არჩევნებში ნაციონალების შედეგი იქნება ნულოვანი. ბაქრაძეს გამარჯვების შანსები არ აქვს. თვითონ ბაქრაძეს არც უნდა, მოვალეობას იხდის. ბაქრაძე იმდენადაა ჩაფლული სიბინძურეში, იმდენი დანაშაული აქვს ჩადენილი თვითონ, რომ იძულებულია იბრძოლოს. ბაქრაძის დანაშაული ის არის, რომ მან გატეხა ფიცი. პარლამენტარი ფიცს სდებს, პარლამენტის თავმჯდომარის პასუხისმგებლობა კიდევ უფრო დიდია. ბაქრაძე ფიცის გატეხის შედეგად ემსახურა სააკაშვილის დიქტატორულ რეჟიმს, ემსახურა, როგორც მონა და ქვეყნის ინტერესებს უღალატა.

**„ახალი თაობა“**

### რატომ არ აცხადებენ ახალაიას განაჩენს არჩევნებამდე

**ბაჩო ახალაიას** წინააღმდეგ ე. წ. ციხის ბუნტის საქმეზე სასამართლო განაჩენი საპრეზიდენტო არჩევნების მეორე დღეს, 28 ოქტომბრის დილის 10 საათზე გახდება ცნობილი. როგორც ახალაიას ადვოკატი აცხადებს, ეს მეორე განაჩენიც გამამართლებელი იქნება და დიდი ალბათობით სწორედ ახალაიას გამართლება „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის ხმების დაკარგვის მიზეზი რომ არ გახდეს, ამიტომ გადაიდო მისი გამოცხადება არჩევნებამდე. თუმცა, არასამთავრობოთა ნაწილი განაჩენის გამოცხადების გადადების მიზეზად სხვა რამეს მიიჩნევს. თუკი სასამართლო ახალაიას დამნაშავედ ცნობს, მოქმედ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს მისი შეწყალების საშუალება აღარ ჰქონდეს.

**„რეზონანსი“**

### თავდაცვა სააკაშვილის განცხადების გამო შეშფოთებას გამოთქვამს

**საქართველოს** თავდაცვის სამინისტრო შეშფოთებას გამოთქვამს და გაკვირვებულია საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ თბილისის გარშემო თავდაცვითი ზღუდეების მშენებლობაზე გაკეთებული განცხადებების გამო. თავდაცვის სამინისტრო განცხადებას ავრცელებს და მოუწოდებს საქართველოს უშიშროების საბჭოს აპარატს, პრეზიდენტის ადმინისტრაციას მეტი სიფხიზლით მოეკიდონ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გავრცელებას. უმაღლესი მთავარსარდლის, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის 23 ოქტომბრის განცხადება საქართველოს თავდაცვისუნარიანობას ზიანს აყენებს. პრეზიდენტი ცრუობს, როცა აცხადებს, რომ თავდაცვის ზღუდესთან დაკავშირებული პროექტები შეჩერებულია.

**„ალია“**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
**299-62-77; 599 32-85-76.**

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

**ქალიშვილი რაღაცაზე დიდხანს ეჩურჩულება დედას, მერე კი მამას მიუბრუნდება:**

**— მამი, გულწრფელად მითხარი, შვილები გყავს?**

**— შენს გარდა?**

**— საერთოდ...**

* * *

**ცოლ-ქმარი ქუჩაში მისეირნობს. უცებ ცოლი დაინახავს, რომ მათ უახლოვდება ახალ კაბაში გამოწყობილი დაქალი.**

**— საყვარელო, — ეუბნება იგი ქმარს, — აი, ჩემი დაქალი მოდის. როდესაც მოგვიახლოვდება, შეჩერდი და უთხარი, რომ საუკეთესო კაბა აცვია.**



**— რატომ? გინდა, რომ იგი ამით ასიამოვნო?**

**— პირიქით! გუშინ ვარწმუნებდი, რომ შენ საოცრად უგემოვნებო ხარ!**

* * *

**— გუშინ გოგო ვნახე, ზურგი ტატუირებული ჰქონდა, თბილისის მეტროს სქემა.**

**— მაგარია! და სანამდე დაინახე ეს ტატუირება?**

**— ნუ ნერვიულობ, შენი გლდანი სწორედ იქაა, სადაც უნდა იყოს.**

* * *

**— გოგოებო, ისეთი გალანტური კავალერი ვიპოვე, უკეთესს ვერც ინატრებ, ყოველდღე ას ვარდს მჩუქნის, უკვე მთელი ოთახი ყვავილებით მაქვს სავსე!**

**— რა მაგარია! რა ჰქვია?**

**— პეტკა.**

**— მეხუთეკორპუსელი ხომ არ არის?**

**— კი, მეხუთედანაა.**

**— აჰა, მე ვიცი, ვინც არის ეს პეტკა, სასაფლაოს დარაჯად მუშაობს.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ ბოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24